ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Alkhali Taoba

## პოლიციამ მაკა ჩიჩუას ძმა დააკავა



გვ.7

12 იანვრიდან

## კულინარია ჰობად

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ორშაბათი, 16 იანვარი, 2017 №12 (7247) ფასი: 50 თეთრი

# „ნაციონალების დაშლით საპატიმროებიდან“

„ბოკერია-უგულავას ფრთას კარგი სასტარტო პირობები აქვს“

## გია ხუხაშვილი: „ქართულ ოცნებას“ რა უხარია, გაუგებარია“

გვ.3

## „ქუმსიშვილს მანამდე არ მოვეშვებით, სანამ არ გადადგება“

ლევან ხაბეიშვილი: „მთავრობას მაქსიმალურ დისკომფორტს შევუქმნით“

გვ.4

ოპოზიცია მინისტრების წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს იწყებს

გვ.5

## სოსო შატბერაშვილი: შემცირებულ თანამშრომლებს კომპენსაცია უნდა გადაუხადონ“

„პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი დასაქმებაა“

## გორში გურამ გოგიჩაიშვილი დემოკრატიული მოძრაობის ოფისთან მოკლეს

გვ.7

## ხათუნა ლაგაზიძე: „ქართულ ოცნებაში“ დამოუკიდებლად ვერავინ ითამაშებს“

გვ.2

ISSN 1987-9385

## მამუკა ჭუსკაძე: „მობილურ ოპერატორებს მოსმენებზე ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ“

გვ.5

# ხათუნა ლაგაზიძე: „ქართულ ოცნებაში“ დამოუკიდებლად ვერავინ ითამაშებს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ქალბატონო ხათუნა, უგულავა-ბოკერიას პარტია შეძლებს იმავე შედეგის დადებას, რომელსაც თუნდაც ნაციონალური მოძრაობა დებდა? ეს პარტია ყველა არჩევნებზე მეორე იყო.***

– შექმნილი სიტუაცია გარკვეულწილად იმეორებს მოქალაქეთა კავშირის დაშლას. მაშინ მხცოვანმა დეპუტატმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა თქვა: მოქალაქეთა კავშირი კი არ დაიშალა, გაიშალაო! ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ნაციონალური მოძრაობა კი არ დაიშალა, გაიშალა, სულ მცირე, 4 სუბიექტად – ბოკერიაუგულავას ფრთა, „გირჩი“, ვაშაძე და სააკაშვილის მხარდამჭერები. ასევე არიან მმართველ პარტიაში ყოფილი ნაციონალები. რამდენად შეძლებენ ისინი, ცალ-ცალკე გაიმეორონ იგივე შედეგი, დღეს რთული სათქმელია, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ნაციონალური მოძრაობიდან გამოყოფილი ძალები უფრო გამონახავენ საერთო ენას და გაერთიანდებიან, ვიდრე დანარჩენ ოპოზიციასთან.

ამიტომ, არ არის გამორიცხული, ხელისუფლებას წინ კვლავ ერთი ნაციონალური მუშტი დახვდეს, მაგრამ, ეს ის შემთხვევაში, თუკი „ქართული ოცნება“ საბედისწერო შეცდომას დაუშვებს.

***– ოპოზიციურ სპექტრზე ეს პროცესები რა გავლენას იქონიებს?***

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თუკი

იყო საყოველთაო ნიჰილიზმი, სრული სტაგნაცია, სრულად გადარეცხილი ოპოზიციური ველი, ნებისმიერ შემთხვევაში ამ ფაქტმა ოპოზიციური სპექტრი გააჯერა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა, მართალია, ტექნიკური საკითხებით არიან დაკავებულნი, მაგრამ, როდესაც წინა პლანზე შინაარსი წამოვა, ეს გამოჩნდება.

2017 წლის არჩევნების მთავარი ინტრიგა ამ ორი ძალის დაპირისპირება იქნება, ვგულისხმობ ბოკერია-უგულავას ფრთასა და ნაციონალებს. ეს კონფიგურაცია „ქართულ ოცნებას“ მართლაც ოცნებასავით დაეცა თავზე, თუმცა კარგად ორკესტრირებული და კარგი რეჟისორის ხელი ატყვია ამ ყველაფერს.

***– ამ ორ ჯგუფს ერთმანეთთან ექნება ბრძოლა მეორე ადგილისთვის?***

– დიახ, სწორედ ასეა, მაგრამ, შეიძლება, სანამ ისინი მოშუშდება, მეორე ადგილზე სულ სხვა პარტია ვიხილოთ. მეორე ადგილისთვის დაუღალავად შეიძლება პატრიოტთა ალიანსმა იბრძოლოს, თან იმ ფონზე, როდესაც მთელ ევროპაში რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი ძალები მოდიან, თუმცა მთავარი ბრძოლა სწორედ ამ ორ ფრთას შორის იქნება, რათა ერთმანეთს დაუმტკიცონ, ვინ უფრო ძლიერია, ვინ როგორ იქნება ადგილობრივ დონეზე, საკრებულოებში, გამგეობებში წარმოდგენილი. ყველა ადგილობრივი არჩევნები არის რეპეტიცია დიდი არჩევნებისთვის.

***– მოქალაქეთა კავშირთან გაავლეთ პარალელი, როგორ გამოეყო ახალგაზრდების ჯგუფი, ჟვანია-სააკაშვილი თავის დროზე მოქალაქეთა კავშირს, შემდეგ უკვე ნაციონალურ მოძრაობაში როგორ განვითარდა ეს პროცესი. რამდენად გამორიცხავთ, რომ მსგავსი სცენარით განვითარდეს მოვლენები მმართველ პარტიაში და „ქართულ ოცნებაში“ მოხდეს გადაჯგუფება?***

– ძალიან ამორფულია „ქართული ოცნება“, რამდენიმე სეგმენტი არსებობს შიგნით, მაგრამ მათ ჯერ გამოკვეთილი ლიდერები არ ჰყავთ, ასევე გამოკვეთილი ავტორიტეტი არ ჰყავთ, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად თამაშის წარმართვა. არცერთ ჯგუფს არ აქვს ამ წუთში დამოუკიდებლად არსებობის პერსპექტივა.

ბიძინა ივანიშვილი არ არის ედუარდ შევარდნაძე, რომლის ფრთის ქვეშაც შესაძლებელი იყო დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება. შევარდნაძემ დაუშვა თავის სივრცეში, მის ფრთის ქვეშ დამოუკიდებელი თამაშების წარმოება. თავის დროზე შევარდნაძემ შანსი მისცა ყველას, ეროვნული მოძრაობიდან მისულებსაც. გახსოვთ ირინა სარიშვილი, რომელიც იყო ვიცეპრემიერი.

ყველას მისცა შევარდნაძემ შანსი, მაგრამ 2003 წელს ის პოლიტიკური ჯგუფი გავიდა ფინიშზე, რომელმაც ივარგა, ყველაზე მეტი სიცოცხლისუნარიანობა რომელმაც გამოავლინა. შევარდნაძის პოლიტიკის ფარგლებში თავისუფალი მოძრაობები შესაძლებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ არც ის ერიდებოდა ოპოზიციური პარტიების ხელოვნურად დაშლას, შერწყმას, სატელიტი პარტიების შექმნას და ა.შ.

„ქართული ოცნების“ განვლილი ოთხწლიანი პერიოდიდან თუ ვიმსჯელებთ, ბიძინა ივანიშვილის პირობებში დამოუკიდებელი მოთამაშეები არ გაჩენილან. ვერც ვერავინ ახერხებს ივანიშვილის ავტორიტეტთან მიახლოებას. გამოყოფას რა აზრი აქვს, თუ შედეგი არ გექნება. ამის თვალსაჩინო მაგალითია თავისუფალი დემოკრატებისა და რესპუბლიკელების გამოყოფა. დამოუკიდებელმა პარტიებმა არჩევნებში ბარიერის გადალახვა ვერ შეძლეს.

რამდენად გამოიყოფა „ქართულ ოცნებაში“ დამოუკიდებელი ჯგუფები ამ საპარლამენტო ვადის ფარგლებში, ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული, რამდენად გაბედავენ ამას. ოთხწლიანი დისტანცია ძალიან ბევრია იმისთვის, რომ ვისაუბროთ, იქნება თუ არა ცენტრიდანული პროცესები„ქართულ ოცნებაში“. მეეჭვება, „ქართულ ოცნებაში“ ვინმეს გაუჩნდეს ცდუნება, დამოუკიდებელი თამაში ითამაშოს, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილმა ყველას მისცეს ასპარეზი, როგორც ეს თავის დროზე შევარდნაძემ გააკეთა.

# რა დავალება მისცა სააკაშვილმა თანაპარტიელებს

შორენა მარსაგიშვილი

**ყოფილი ხელისუფლების რიგებში კვლავ არეულობაა. ნაციონალებად დარჩენილები და „ევროპულ საქართველოდ“ გარდაქმნილები ერთმანეთის ღია გმობაზე არიან გადასული.**
**ერთურთის გმობას ისინი ამ კვირაში კიდევ უფრო გააძლიერებენ. კვირის მიწურულს ნაცმოძრაობის ყრილობაა, რომელსაც ერი ამდენი ხანია ელოდა. ყრილობამდე ნაცმოძში დარჩენილთა ნაწილი კიევში გადაფრინდა, სადაც ამერიკიდან დაბრუნებულ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა.**

შეხვედრის ზუსტი დეტალები არ ხმაურდება. პარტიას შემორჩენილები მხოლოდ იმას ამბობენ, რომ შეხვედრაზე საუბარი 20 იანვარს დაგეგმილ ყრილობას შეეხებოდა.

სანამ ნაცმოძელების ნაწილი სააკაშვილთან ერთად სამმავლო გეგმებს სახავდა, მეორე ნაწილი გამიჯნულებთან საქმის გარჩევით იყო დაკავებული. დარჩენილები წასულებს პროცედურული ხრიკების გამოყენებას სდებენ ბრალად.

მიშასა და ნაცმოძის უარმყოფელმა 21-მა დეპუტატმა საკანონმდებლო ორგანოში ორი ფრაქცია – „ევროპული საქართველო“ და „ევროპული საქართველო უკეთესი მომავლისთვის“ შექმნეს.

პარტიას ნიკა მელია, თინა ბოკუჩავა, კობა ნაყოფია, სალომე სამადაშვილი, რომან გოცირიძე და აზერ სულეიმანოვი შემორჩნენ. ამ უკანასკნელს გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდა და ბევრი ფიქრის შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში დარჩა.

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ფრაქციის შესაქმნელად 6 კაცია საჭირო. ნაციონალებს ეს 6 კაცი ჰყავთ. გაინაღდეს რა საფრაქციოდ საჭირო ხალხი, გამიჯნულებს პრეტენზიები წაუყენეს.

ისინი გაევროპელებულ ნაციონალებს ორმაგ თამაშსა და პროცედურულ ხრიკებში ადანაშაულებენ. დეპუტატ თინა ბოკუჩავას თქმით, ისინი პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის ფრაქციას არ ტოვებენ.

– 13 იანვარს მათ ჩაატარეს ფრაქციის სხდომა, სადაც გადაირჩიეს თავმჯდომარე, ნიკა მელია, ასევე შეიტანეს ცვლილება წესდებაში და შეუცვალეს სახელი ფრაქციას. შესაბამის სამსახურებს პარლამენტში ისინი უცხადებენ, რომ ნაციონალური მოძრაობის ფრაქციას არ ტოვებენ.

ამგვარი ორმაგი თამაში და პროცედურული ხრიკები არის მათი მცდელობა, ერთი მხრივ, დააბნიონ ამომრჩეველი და ასევე ამ დამატებითი ფრაქციის შენარჩუნებით შეინარჩუნონ დამატებითი თანამდებობები და შესაბამისი სარგებელი და სიკეთეები, – აცხადებს ბოკუჩავა.

აღშფოთებული ნაციონალური მოძრაობა სამართლებრივი მექანიზმებისა და ყველა შესაძლო ბერკეტის გამოყენებას გეგმავს, რათა პარლამენტში ერთიან ნაციონალურ მოძრაობას თავისი ფრაქცია ჰყავდეს.

თინა ბოკუჩავას თქმით, ისინი უახლოეს ბიუროს სხდომაზე ბიუროს წერილით მიმართავენ. შესაბამისი განცხადება შევა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტშიც.

ბრალდებებს გამიჯნულებშიც გამოეხმაურნენ. ევროპელ ქართველებად გადაქცეული ნაციონალები იფიცებიან, რომ დარჩენილებს საპარლამენტო ფრაქციის შექმნაში ხელს არ უშლიან.

– ფრაქცია „ევროპული საქართველო“ არ უშლის ხელს ენმ-ს ფრაქციის შექმნაში. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს იურიდიული დეტალები, რომლებიც, შეიძლება, ერთი შეხედვით, გაუგებარი იყოს ჩაუხედავი პირისთვის, თუმცა, ჩვენ მზად ვართ, ამ თემასთან დაკავშირებით ტექნიკური კონსულტაციები გავუწიოთ ენმ-ის წარმომადგენლებს პარლამენტში, რათა მათ შეძლონ ფრაქციის შექმნა და ნორმალური ფუნქციონირება. ჩვენი ამოცანა ნამდვილად არ არის ენმ-ისთვის პარლამენტის ფარგლებში საქმიანობისთვის ხელის შეშლა. ამ მიზნით მზად ვართ, ორმხრივ რეჟიმში გვქონდეს ურთიერთობები ენმ-ის წარმომადგენლებთან საჯარო სივრცეში აზრთა სხვადასხვაობის გადმოტანის გარეშე.

ჩვენი განცხადება პარტიის გაყოფის დღეს სწორედ იმისკენ იყო მიმართული, რომ ჩვენ შორის მოხდეს ტექნიკური და იურიდიული საკითხების დარეგულირება და თანამშრომლობა ამგვარ დეტალებზე ცივილიზებული ჩარჩოების ფარგლებში. სწორედ ამიტომ შესთავაზა სერგო რატიანმა ენმ-ს თანამდებობაზე დარჩენა და იურიდიული საკითხების მოგვარება და სწორედ ამიტომ იქნა დროულად გადარიცხული თანხა სპორტის სასახლისთვის, რათა 20 იანვრის „ყრილობის“ ჩატარებას ხელი არ შეშლოდა.

კარგი იქნება, თუ ენმ-ის წარმომადგენლები დღეიდან, ნაცვლად ჩვენთან დაპირისპირების გაგრძელებისა, ფოკუსირდებიან „ქართული ოცნების“ ოპონირებაზე და ძალისხმევას არ დაიშურებენ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად, – ნათქვამია განცხადებაში.

◆ ◆ ◆

ყოფილ თანამოაზრეებთან დავის გარდა, გამიჯნულებს სამართალდამცავებთანაც შეექმნათ პრობლემები.

„ევროპული საქართველოს“ წევრები, ირმა ნადირაშვილი, გიგი უგულავა და დავით დარჩიაშვილი, კახეთში მიმავალ გზაზე პატრულის თანამშრომლებმა ნახევარი საათით გააჩერეს და საბოლოოდ დაჯარიმების შემდეგ გაუშვეს.

ეს შემაშფოთებელი ინფორმაცია ერს ნადირაშვილმა ფეისბუქის მეშვეობით ამცნო.

– კახეთში მივდივართ მე, უგულავა, დარჩიაშვილი. პატრულმა გაგვაჩერა. დაბნეულები ლაპარაკობდნენ, არ ვიცით, სად დაარღვიეთო, მაგრამ თეთრი შკოდა მოგყვებოდათ და იმან გადმოგვცა, რომ უნდა დაგვეკავებინეთო. ნახევარი საათით გაგვაჩერეს. ხან ტელეფონით რეკავდნენ, ხან ინტერნეტი ჭედავსო, გვეუბნებოდნენ.

ბოლოს ჯარიმა გამოგვიწერეს, რადგან ზუსტი ადგილი არ იცოდნენ, კახეთის ტრასა მიუთითეს, – დაწერა დეპუტატმა ნადირაშვილმა სოციალურ ქსელში.

## ირმა ნადირაშვილი, დავით დარჩიაშვილი და გიგი უგულავა პატრულმა დააჯარიმა


**ახალი თაობა**

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 2–94-06-91
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru


**რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.**

# „ნაციონალების დაშლით სააკაშვილმა იხეირა“

## გია ხუხაშვილი: „ქართულ ოცნებას“ რა უხარია, გაუგებარია“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დაზარალდა ნაციონალების დაშლით „ქართული ოცნება“, რა ხეირი ნახა სააკაშვილმა, რა პერსპექტივა გაუჩნდა ბოკერია-უგულავას ფრთას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

***– თქვენ სააკაშვილსა და მის მომხრეებს მესია და მისი მრევლი უწოდეთ, რითაც ძალიან განაარისხეთ ისინი. დღეს მათი მთავარი კონკურენტები პარტიიდან გამიჯნულები არიან. თქვენი აზრით, რომელს უფრო მეტი უპირატესობა აქვს – მიშას მოწმეებს თუ გამიჯნულებს, რომლებიც იმით იწონებენ თავს, რომ მათ რიგებში 59 ლიდერია?***

– იმისთვის, რომ ორგანიზმი ფუნქციონირებდეს, მას სჭირდება როგორც სხეული, ასევე სასიცოცხლოდ აუცილებელი ორგანოები. დღეს იმაზე ლაპარაკი, რომელს უფრო მეტი პერსპექტივა აქვს, ცოტა რთულია. პოლიტიკაში ლიდერებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და მხარდამჭერების სიმრავლესაც. ნაციონალური მოძრაობის გაყოფა მოხდა ასე – მანქანის ძრავი დარჩა ცალკე და მესია თავისი მრევლით – ცალკე.

მიშას მოწმეებში არ დარჩა არცერთი ისეთი ადამიანი, რომელსაც პოლიტიკური მენეჯმენტის უნარები და გამოცდილება გააჩნია. რაც შეეხება თავად მესიას, ის საერთოდ სადღაც არის. პოლიტიკურ პერსპექტივას რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, ამას ვერც მაშინ ვხედავდი, როცა ერთად იყვნენ და ახლა – მით უმეტეს.

ნაციონალური მოძრაობის მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია. პოლიტიკური პროცესის მართვას საკმაოდ მაღალი კვალიფიკაცია სჭირდება. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეს ბრენდი ძალიან არის დაზიანებული და მარგინალიზებული. მარგინალიზაციის პროცესი, ალბათ, კიდევ გაგრძელდება. ისინი გაიყინებიან იმ მხარდამჭერებზე, რომლებიც ახლა ჰყავთ და მერე ისინიც ნელნელა შემოეფერთხებათ.

პარტიისგან გამიჯნულებს რაც შეეხება, მოგვწონს თუ არა, იქ პოლიტიკური კაპიტალი ნამდვილად არის.

***– გამოდის, რომ მათ უკეთესი მიმავალი აქვთ?***

– მთლად ასე არ არის, რადგან იმ ცოდვებს ვერც ისინი ჩამოირეცხავენ, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების სინდისზეა. ეს კი მათ პოლიტიკურ ამოცანებს გაართულებს.

ცოდვებზე როცა ვსაუბრობთ, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ფრთასთან არ ასოცირდება განსაკუთრებული სადიზმი და სისასტიკე, რაც ნაციონალურ მოძრაობას ახასიათებდა. სადიზმი სააკაშვილის, ახალაიებისა და მერაბიშვილის სახელს უკავშირდებოდა ძირითადად.

***– სისასტიკეს ამ ფრთის წარმომადგენლებსაც სდებდნენ ბრალად.***

– ისინი ამ სადიზმზე პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან, თუმცა სისასტიკის სიმბოლოები ისინი არასდროს ყოფილან. მაგალითად, დავით ბაქრაძის მიმართ ამ მხრივ არასდროს ყოფილა პრეტენზია. უგულავაზე იყო რაღაც პრეტენზიები, მაგრამ ის ცოტა ხანს მაინც იჯდა ციხეში და, ბევრისგან განსხვავებით, რაღაც სასჯელი მოიხადა.

ვერ ვიტყვი, რომ ამ პარტიას აქვს რაღაც დიდი პერსპექტივები, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ მოზაიკაში აუცილებლად დაიმკვიდრებენ ადგილს. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათ პარლამენტში საკმაოდ დიდი ფრაქცია ეყოლებათ. საპარლამენტო ტრიბუნიდან უახლოესი 4 წლის განმავლობაში ყველაზე ხმამაღლა ისინი ილაპარაკებენ.

***– ეს ლაპარაკი მოუტანს რაიმე შედეგს? 2012-2016 წლებშიც ხმამაღლა საუბრობდნენ საპარლამენტო ტრიბუნიდან, მაგრამ დიდი ვერაფერი შედეგი მიიღეს.***

– მაშინ ისინი ერთად იყვნენ და გარკვეულწილად სადიზმის ცოდვებით იყვნენ დამძიმებულნი. ახლა სააკაშვილს ჩამოშორდნენ და იმ წარსულისგან გათავისუფლებას ცდილობენ. ამას დაუმატეთ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებსაც ხელისუფლება ვერაფრით აგვარებს.

იმ ფონზე, როცა ხელისუფლებას სერიოზული ჩავარდნა აქვს, ბუნებრივია, კრიტიკაში კვალიფიციური ადამიანები შეეცდებიან, ქულები მოიპოვონ. მათ ამის პოტენციალი ნამდვილად აქვთ.

***– ნაციონალებში დარჩენილებს არ აქვთ ამის პოტენციალი?***

– ამ მხრივ მათ პოტენციალს ვერ ვხედავ. ისინიც იყვირებენ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ. ისინი ვარდნას გააგრძელებენ. ბოკერია-უგულავას ფრთას კი გაზრდის თეორიული პერსპექტივა უჩანს. ხელისუფლებაში მოსვლის

## „ბოკერია-უგულავას ფრთას კარგი სასტარტო პირობები აქვს“

პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში სერიოზულ ელემენტად ქცევა შეუძლიათ.

***– თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკა ნაციონალების გინებაზეა აგებული. მათი დაშლის შემდეგ რას იზამენ? სოციალურ ქსელებში ხუმრობდნენ კიდეც, ერთი ნაციონალების გინების ფუნქცია ჰქონდათ და ისიც ნაციონალებმა აახიესო.***

– ზემოთ მესიასა და მის მრევლზე ვილაპარაკე და „ქართულ ოცნებაშიც“ დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა. ხელისუფლების აპოლოგეტები მიიჩნევენ, რომ ნაცმოძრაობის გაყოფა გენიალური გეგმა იყო და ამას თავიანთ აქტივში ითვლიან.

ჩემი აზრით კი მოვლენების ამ სცენარით განვითარება „ქართული ოცნებისთვის“ სასარგებლო არ იქნება. მათთვის ბევრად უფრო კომფორტული იყო ერთად მყოფი ნაციონალური მოძრაობა. ორპოლუსიან პოლიტიკურ პროცესში ეს მაქსიმალურ დივიდენდს აძლევდა ხელისუფლებას. როდესაც მეორე პოლუსზე, დაზიანებული ბრენდის გარდა, არავინ არის, მასთან მოგება უფრო ადვილია.

***– ახლა მათთვის მოგება გაუჭირდებათ?***

– მოდით, ასე ვთქვათ, ამ გაყოფის შემდეგ მოგება უფრო რთული გახდა. ბოკერიას ფრთას დამატებითი ელექტორატის მოძიების შანსი უჩნდება. ბოლომდე დაზარალებული არც მიხეილ სააკაშვილი დარჩენილა, რადგან პარტიის ერთიანობის შენარჩუნება მისთვის მთავარი მიზანი არ ყოფილა. მას მსოფლიოსთვის მხოლოდ იმის ჩვენება უნდოდა, რომ პარტია შეინარჩუნა. ეგ ჩვენ ვიცით, შიგნით რა ხდება, თორემ დასავლეთის თვალში ნაცმოძრაობა ხელისუფლების ერთადერთ ალტერნატივად ითვლება.

ამ პარტიის უპირობო ლიდერად სააკაშვილი იქცა. მან ვერტიკალი დაალაგა და მისი დამბალანსებელი ძალა არ გამოჩნდა. ამით მან დასავლეთის თვალში სახე და ბეგრაუნდი შეინარჩუნა. ასე რომ, პროცესები „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არ წარიმართება. რაღაც პერიოდის შემდეგ მათთვის პოლიტიკის გაკეთება ბევრად უფრო რთული გახდება.

ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ ამ პარტიაში არცერთი ლიდერი არ არის. ამ წლების განმავლობაში ვერაფრით მოხერხდა ლიდერების გენერირება. პრემიერიდან დაწყებული, მინისტრებით დამთავრებული, ეს თვისება ვერავინ გამოიმუშავა. არცერთს არ შეუძლია, რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს. ამიტომაც არის, რომ ყველაფერი ბიძინა ივანიშვილს მიეწერება.

„ქართული ოცნების“ მთავარი ლოზუნგი ის კი არ არის, რაიმე გავაკეთოთ, არამედ, რაიმე არ გავაფუჭოთ. გაფუჭება რომ არ უნდათ, ეს კარგია, მაგრამ სახელმწიფოს მართვისას ეს ლოზუნგი არ ვარგა – წინ რომ არ მიდიხარ, გამოდის, რომ უკან მიდიხარ.

***– ზემოთ თქვით, რომ ნაციონალების დაშლას „ოცნების“ აპოლოგეტები საკუთარ დამსახურებად მიიჩნევენ. თქვენი აზრით, რაში სჭირდებოდათ მათ ამის გაკეთება? თან, როგორც თავად თქვით, ასე უფრო გაუჭირდებათ პოლიტიკის კეთება.***

– რაღაცას რომ აკეთებ, მიზანი უნდა გქონდეს და ეცადო, უკეთესი რამე გამოგივიდეს. მე არ ვიცი, მონაწილეობდა თუ არა ნაციონალების დაშლის პროცესში ხელისუფლება, სამაგიეროდ, ვიცი, რომ შედეგი მისთვის უარესია, ვიდრე აქამდე იყო და თუ მართლა ურევია ამაში ხელისუფლების ხელი, გამოდის, სისულელე გაუკეთებიათ.

მეცინება იმაზე, რომ ამას „ოცნებაში“ გენიალურ კომბინაციად ასაღებენ. სინამდვილეში კი პირიქით არის. შეთქმულების თეორიას რომ მივყვეთ და ეს დაშლა ხელისუფლებას მივაწეროთ, მას მხოლოდ ერთ შემთხვევაში ექნებოდა გამართლება – ბოკერიას ფრთა თუ აიღებდა ნაციონალების მართვის სადავეებს ხელში და სააკაშვილს პარტიას ჩამოაშორებდა.

როგორც წესი, ვინმეს თუ ბევრი მტერი ჰყავს და მათთან ბრძოლის რესურსი აქვს, ცდილობს, ეს მტრები ერთად შეაგროვოს – ყველა ერთ გემზე. ასეთ შემთხვევაში მათი დამარცხება უფრო იოლია. ამ შემთხვევაში კი ნაციონალები ორ ნაწილად გაიყვნენ. რატომ უხარიათ ეს მეოცნებეებს, არ მესმის. ამით მიხეილ სააკაშვილსაც გაუიოლეს საქმე.



## „მესამე ძალა თუ არ გამოჩნდა, რევოლუციამდე მივალთ“

***– რა საქმე გაუიოლეს?***

– აქამდე სააკაშვილი პარტიის ერთპიროვნული ლიდერი აღარ იყო და მას გადაწყვეტილებების მიღებაში თანაპარტიელები ხელს უშლიდნენ. ყველაფერი კონცეპტუალური დაპირისპირებით დაიწყო. ყოფილ პრეზიდენტს უნდოდა, არჩევნების შემდეგ პროცესები რევოლუციური სცენარით განვითარებულიყო, პარტიის ლიდერებმა კი ამის საშუალება არ მისცეს.

ახლა სააკაშვილი ერთპიროვნული ლიდერია და ნაცმოძრაობა ბევრად უფრო დალაგებულია, ვიდრე მანამდე იყო. გამარჯვებული არ გამოსულა, მაგრამ ნაკლებად დაზარალდა. პარტიის ერთიანობის შენარჩუნება მას სერიოზულ ზიანს მოუტანდა. ახლა კი უპრობლემოდ იტყვის, რომ საქართველოში მთავარი ოპოზიციური ძალის უპირობო ლიდერია.

ბოკერია-უგულავას ფრთისთვისაც კარგია, რომ გაყოფა მოხდა. მათ ახალი სტარტი აიღეს და არსებულ პოლიტიკურ სპექტრში ყველაზე პერსპექტიულად გამოიყურებიან. „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალების რეიტინგი კლებადია, „ევროპული საქართველოს“ პოტენციალი კი საკმაოდ სერიოზულია.

***– გახდება თუ არა „ევროპული საქართველო“ მესამე ძალა, რომელსაც ასე ელოდება საზოგადოება?***

– მართალია, მათ კარგი სასტარტო პირობები აქვთ, მაგრამ მესამე ძალად ვერ ჩამოყალიბდებიან. ისინი მაინც დაზიანებული ბრენდის, ნაციონალების, წარმომადგენლები არიან. რაღაც ელექტორატის მობილიზებას შეძლებენ, მაგრამ კრიტიკულ მასას ვერ შეაგროვებენ. საზოგადოება კიდევ დიდხანს არ მოისურვებს მათთვის ძალაუფლების მინიჭებას, ხელისუფლებასთან ხმამაღალი დაპირისპირებით კი, ფაქტობრივად, მესამე ძალაზე იმუშავებენ. მესამე ძალა აუცილებლად გამოჩნდება. მასზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება.

ახლა გამიჭირდება იმის თქმა, ვინ შეიძლება გახდეს მესამე ძალა, მაგრამ, ის დანამდვილებით ვიცი, რომ ასეთი ძალის გამოჩენა სახელმწიფოებრივად აუცილებელია და ის ყველას, მათ შორის, ხელისუფლების ინტერესებშიც არის.

***– თუ არ გამოჩნდა მესამე ძალა, მაშინ რა ხდება?***

– ასეთი ვაკუუმი თუ შენარჩუნდა, რევოლუციამდე მივალთ. ეს სიცარიელე აუცილებლად უნდა შეივსოს. ამ ვაკუუმთან ერთად ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი პრობლემაა ისიც, რომ პოლიტიკაში მოუმზადებელი ხალხი მიდის. ამიტომაც მე და ჩემმა თანამოაზრეებმა გადავწყვიტეთ, დავაარსოთ პრაქტიკული პოლიტიკის სკოლა, სადაც პოლიტიკით დაინტერესებულ ხალხს რაღაც უნარ-ჩვევებს შევძენთ.

# 6 წლის სალომე მამუდოვა თავს სამხედრო ჯიხურს აფარებს

6 წლის სალომე მამუდოვას დედა ახალი წლის წინა დღეებში გარდაეცვალა. მას მამაც არ ჰყავს. ბავშვის მოვლა საკუთარ თავზე უმუშევარმა დეიდამ აიღო. ისინი თავს მეტრო ახმეტელის თეატრთან („კარფურის“ უკან) სამხედრო ჯიხურს აფარებენ.

სალომე მამუდოვას შესახებ სოციალურ ქსელში ფოტოგრაფი გოგა ჩანადირი წერს და გოგონას ცხოვრების ამსახველ ფოტოებს აქვეყნებს.

– ვიღაც თბილად იჯდა ბუხართან და შუშხუნა ღვინის წრუპვით შეხვდა ძველით ახალ წელს, ვიღაც მაშხალას ანთებდა, ვიღაც კონცერტს ადევნებდა თვალს, მაგრამ 6 წლის გოგოს, სალომე მამუდოვას, არაფერი ეხალისებოდა.

15 მარტს 7 წლის გახდება. ალბათ, არც მაშინ ექნება სამხიარულო. ახალი წლის წინა დღეებში დედა გარდაეცვალა. ჩასასვენებელი გლდანის გამგეობამ დაუფინანსა. მას მამაც არ ჰყავს. ის თავს სამხედრო ჯიხურს აფარებს, რომელიც მეტრო ახმეტელის თეატრთან, „კარფურის“ უკან არის.

დეიდამ, ქალბატონმა ანჟელამ, რომელიც თავადაც უმუშევარია, ბავშვის მოვლა საკუთარ თავზე აიღო. ახლა დაწესებულებებში უნდა ირბინოს, რომ სალომესთვის ორასლარიანი შემწეობის უფლება მოიპოვოს. ისინი წუხანდელ ახალ წელს წვალებით ნაშოვნი შეშით გათბნენ. სალომეს არაფერი აქვს, არც სახლი აქვს, არც მშობლები ჰყავს, მაგრამ გულის სიღრმეში აქვს ერთი რამ – იმედი, რომ ერთ დღეს მასთანაც დადგება ახალი წელი, – წერს გოგა ჩანადირი.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ძ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# „ქუმსიშვილს მანამდე არ მოვეშვებით, სანამ არ გადადგება“

შორენა მარსაგიშვილი

## ლევან ხაბეიშვილი: „მთავრობას მაქსიმალურ დისკომფორტს შევუქმნით“

**რა გეგმა შეიმუშავა წინააღმდეგობის მოძრაობამ, რომელ მინისტრებს შეექმნებათ პრობლემები, რატომ ამოიღეს მიზანში პირველი ფინანსთა მინისტრი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პოლიტიკური პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.**

**ლევან ხაბეიშვილი:**

– ჩვენ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დავაანონსეთ, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ აქციების ორგანიზებას დავიწყებდით. 14 იანვარს საორგანიზაციო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, რომელმაც პირველი აქცია დაგეგმა.

***– ვინ შედის საორგანიზაციო ჯგუფში?***

– აქ არიან გაწევრიანებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ავტოიმპორტიორები, ჩვეულებრივი მოქალაქეები. საორგანიზაციო ჯგუფი 50 წევრისგან შედგება. სწორედ ეს ჯგუფი დაგეგმავს, სად გაიმართოს აქცია. აქციები გაიმართება როგორც სამინისტროებთან, ასევე მინისტრების საცხოვრებელ სახლებთან. მთავრობის წევრებს სხვადასხვა შეხვედრაზეც მივაკითხავთ.

საორგანიზაციო ჯგუფისა და წინააღმდეგობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ჩვენი პირველი სამიზნე იქნება ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი. მის წინააღმდეგ აქციას 23 იანვარს ფინანსთა სამინისტროსთან გავმართავთ.

***– პირველ სამიზნედ ქუმსიშვილი რატომ შეარჩიეთ, ბღუჯა-ბღუჯა ლარების დანახვაზე რომ აჟრიალებს?***

– ჟრიალით მაგათ ყველას აჟრიალებს. ქუმსიშვილი პირველი სამიზნე საპატიო მიზეზების გამო გახდა. საორგანიზაციო კომიტეტმა ის ხმათა უმრავლესობით მიიღო. გასული წლის ნოემბერში ხელისუფლებამ საზოგადოებას 10-პუნქტიანი გეგმა გააცნო. ეს გეგმა ქუმსიშვილის მიერ იყო შედგენილი. მისმა გეგმამ ავტოიმპორტიორები კიდევ უარეს დღეში ჩააგდო. ამ გეგმის გამოქვეყნების შემდეგ ეკონომიკური მდგომარეობაც გაუარესდა და ლარის კურსიც კიდევ უფრო დაეცა. ქუმსიშვილის გეგმამ კიდევ უფრო გააღარიბა ქართველი ხალხი, ამიტომაც პირველ აქციას მას მოვუწყობთ.

***– რა იქნება მოთხოვნა?***

– ფინანსთა მინისტრის გადადგომა. აქცია 23 იანვარს ფინანსთა სამინისტროსთან გაიმართება. მინდა, იცოდეს ხელისუფლებამ, რომ ეს არ არის ერთჯერადი აქცია. ჩვენ გავაგრძელებთ პერმანენტულ აქციებს, რაც ხელისუფლებისთვის ერთგვარი ალიყური იქნება. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად რეალური ნაბიჯები გადადგას, დიმიტრი ქუმსიშვილს კი ვპირდებით, რომ მანამდე არ შევეშვებით, სანამ არ გადადგება, აქციებს მოვუწყობთ ყველგან – სახლთან, სამინისტროსთან, საჭირო თუ გახდა, ფართომასშტაბიან აქციასაც გავმართავთ.

სხვებს არ ეგონოთ, რომ ჯოხი მხოლოდ ფინანსთა მინისტრზე გადატყდება. ამ ქვეყნის პრობლემა მხოლოდ ის არ არის. ცოტა ხანში გაირკვევა, ვინ იქნება მეორე.

***– თქვენი აზრით, ვინ იქნება მეორე სამიზნე?***

– ამას საორგანიზაციო ჯგუფი გადაწყვეტს. ჩვენ 17 იანვარსაც ვაპირებთ შეკრებას და იქაც დაზუსტდება რაღაცები. ყველას სხვადასხვა მოსაზრება გვაქვს, მაგრამ გვინდა, ყველაფერი სტრატეგიულად სწორად გავაკეთოთ. საორგანიზაციო ჯგუფი იმისთვის შეიქმნა, რომ აქციები მიზანმიმართულად დაიგეგმოს. ამან შედეგი უნდა მოიტანოს.

***– დარწმუნებული ხართ, რომ გადადგება?***

– ქუმსიშვილს გადადგომამდე აუცილებლად მოვინელებთ. ეს ადამიანი სადაც წავა, ყველგან დისკომფორტი ექნება. იგივე ბედი ელით სხვა მინისტრებსაც. მათ გარდა, საქართველოში ყველას, მათ შორის ბიზნესმენებსაც კი დისკომფორტი შეექმნათ. მთავრობა უნდა შეეგუოს, რომ დისკომფორტში იცხოვრებს.

## ოპოზიცია მინისტრების წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს იწყებს

***– საორგანიზაციო ჯგუფში ახალი ხალხის შემომატება თუ იგეგმება?***

– ეს ჯგუფი აუცილებლად გაიზრდება. 14 იანვარს რამდენიმე პოლიტიკურ პარტიასთან გვქონდა კონსულტაციები. ისინი შეხედავენ, როგორ ჩაივლის პირველი აქციები და, ალბათ, შემოგვიერთდებიან. ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა. უკვე დროა, ამ ხელისუფლებამ გამოსაფხიზლებლად ალიყური მიიღოს.

***– ყველა პარტიასთან ითანამშრომლებთ?***

– არ არსებობს ძალა, რომელთანაც გაპრანჭვას დავიწყებთ, რომ მასთან ერთად არ დავდგებით აქციაზე. მზად ვართ, მთელ ოპოზიციასთან ვითანამშრომლოთ. ერთადერთი გამონაკლისი პრორუსული პარტიებია. მათთან ერთად აქციაზე ვერ გამოვალთ. არ არის გამორიცხული, ეს აქციები მათ საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენონ.

ჩვენ გვინდა, ამ პროცესში მთელი საქართველო ჩაებას. ამიტომაც გამოვიდა „ახალი საქართველო“ საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის ინიციატივით. ამ ეტაპზე ამ მოძრაობაში ყველაზე აქტიურად ჩვენ ვართ ჩაბმული. არ გამოვრიცხავ, ხვალ სხვები უფრო აქტიურნი იყვნენ.

უმაქნის ხელისუფლებას რომ საქმის გაკეთება ვაიძულოთ, ყველა უნდა გავერთიანდეთ. აქამდე მათ შეუქმნეს ხალხს დისკომფორტი, ახლა ხალხმა უნდა შეუქმნას დისკომფორტი. ამ მიზნის მისაღწევად კანონით დაშვებულ ყველა ნორმას გამოვიყენებთ.

# ციხისსოფელი – ახალი საქართველო შუა საუკუნეების ყოფით

**ტრანსპორტის ერთადერთი „სახეობა“, ამ სოფლამდე რომ აღწევს, ცხენი და სახედარია. აქაურები ფეხით გადიან ცენტრალური გზიდან 6-7 კილომეტრს, ბარგს ცხენით, ვირით ან სულაც ზურგით ეზიდებიან.**

**აქ დღემდე არ არის ელექტროენერგია, მზის ბატარეებით განათებული პაწაწინა ნათურა დღისითაც სუსტად ბჟუტავს, მიწას ისევ ხარებით ხნავენ, ოჯახის სამყოფი კარტოფილი და ლობიო რომ მოიყვანონ. ცხადია, არ არის სკოლა და საბავშვო ბაღი. აქ არასოდეს არავინ ყოფილა წინასაარჩევნოდ. ხანდახან თემის გამგებელი თუ აკითხავთ, ეს არის და ეს.**



ციხისსოფელი ანაურის თემის ყველაზე მაღლა მდებარე სოფელია დგნალის ხეობაში. ის ლომისის ქედზე და დე ფაქტო საზღვართან ახლოს მდებარეობს. ზოგიერთ ცნობარში ციხისსოფელი ცალკე სოფლად აღარც არის დატანილი.

ანაურიდან რამდენიმე კილომეტრში, ცივწყაროსთან, არაგვს მდინარე დგნალის ხევი უერთდება. გზიდან სოფელ დგნალამდე 2 კილომეტრია. ხეობაში 3 სოფელია, თუმცა „სოფელი“ ამ შემთხვევაში ძალიან პირობითი ცნებაა.

დგნალი ყველაზე მრავალრიცხოვანია. აქ 30-მდე კომლი ცხოვრობს. ზამთარში, როგორც ამბობენ, ღამის ნახევარი რჩება, ძირითადად მოხუცები.

გაღმა ადრიანში 2 კომლია – 3 ძმა ნარიმანიძეები თავიანთი ოჯახებით.

დგნალში 10-მდე ოჯახი იმიტომ აიყარა, რომ დაწყებითი სკოლაც აღარ არის. ზოგი ქვემოთ, ცივწყაროში ჩასახლდა, ზოგი ციხისძირში, ზოგიც ქალაქს წავიდაო, გვითხრეს.

– ჩემს ოჯახს ბოლო დროს დახმარება მოუხსნეს, – ჩივის მაგდანი (ეთერ) ბუქური – არადა, პენსიონერი ცოლ-ქმარი ვართ და ინვალიდი შვილი გვყავს. იმდენი ძალაც აღარ გვაქვს, საქონელს მივხედოთ.

გაჭირვებული ბევრია სოფელში. ჩვენც სოციალური სამსახურიდან ვეგონეთ და გვთხოვდნენ, ყველა ოჯახი გვენახა.

– როგორ ვართ? გაჭირვებით გაგვაქვს თავი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მე და ჩემმა ვაჟებმა ეს სახლიც ვეღარ დავასრულეთ. ბიჭები თბილისში ცხოვრობენ და მეც ზამთარში თბილისში ვარ. თუმცა ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, ზემოთ, ციხისსოფელში გაცილებით წვალობს ხალხი, აქ მანქანა მაინც ამოდისო, – გვეუბნება ნუნუ შადური და ჩვენს დაინტერესებას რომ გრძნობს, „თქვენ გზა დაგებნევათო“ და მეგზურობასაც გვთავაზობს: „წამოდით და დაწერეთ, იქნებ ვინმემ უშველოს“.

ქალბატონი ნუნუ თავად მოხევეა, ავსაჯანიშვილი, მაგრამ 40 წელზე მეტია, ციხისსოფელთა რძალია. შადურები იქიდან არიან, თუმცა ნუნუს დედამთილ-მამამთილსაც აღარ უცხოვრია ზემოთ. ქალაქში ცხოვრობდნენ, მერე. ცხოვრება რომ გაჭირდა, დგნალს დაუბრუნდნენ.

მივუყვებით მთის ბილიკს. მოკლეებით გვასწავლის გზას ნუნუ დეიდა, 4 კილომეტრი ფეხით უნდა ვიაროთ. საბედნიეროდ, კარგი ამინდია.

ციხისსოფელში 4 სახლია, ოთხივე კედლებ და სახურავმორყეული. აქ მუდმივად 3-4 კომლი ცხოვრობს, თუმცა 2 ოჯახში 7-8 კაცია, ერთგან მეტიც, ვაჟები საკუთარი ოჯახებით.

– აბა, თუ იცით ვინმე, ჩვენსავით რომ ცხოვრობდეს, – ღიმილით გვეკითხება ერთ-ერთი ოჯახის დიასახლისი მარიამ ზაქაიძე-ჭიკაიძე.

ღამის 40 წელია, ის ციხისსოფელში ცხოვრობს. გიკვირს კიდეც ადამიანს, ამ მძიმე პირობების მიუხედავად, ღიმილსა და გახუმრებას რომ ახერხებს.

– აბა, რა ვქნა, ვცდილობ, ბიჭებსა და რძალს რწმენა და იმედი მივცე, – ამბობს დედამთილი.

ჭიკაიძეების ოჯახში 6 შვილი იზრდებოდა, 1 გოგო და 5 ბიჭი. გოგო გათხოვილია, 1 ვაჟი გარდაეცვალა, 1 შვილი ოჯახით უკრაინაში ცხოვრობს და რამდენი წელია, ვეღარც ჩამოდის. სოფელში სკოლა არ არის და 1 ვაჟი სანახევროდ თბილისში ცხოვრობს, თუმცა წვალებით ახერხებს ქირის გადახდას.

დედასთან ერთად მამისეულ სახლში არკადი და ქართლოსი ცხოვრობენ. ერთი 18 წლის ვაჟითა და მეორე ცოლით. უმცროსი, ქართლოსი ახლა 27 წლისაა, მამა რომ გარდაეცვალა, საკმაოდ პატარა იყო.

ნინო ჩუბინიძე წარმოშობით იმერეთიდან არის, თერჯოლიდან. 9 კლასის დასრულების შემდეგ თბილისში წამოვიდა სასწავლებლად ან სამუშაოს საძებნელად. შემთხვევით ტელეფონზე გაიცნო მომავალი მეუღლე, მალე გაჰყვა კიდეც, 2 წელია, ციხისსოფელში ცხოვრობს.

– აქ რომ მოვიდა პირველად და სახლში შემოვიდა, იტირა, – ამბობს დედამთილი.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს დერეფანში სძინავს. როგორც ამბობენ, ეს ყველაზე უსაფრთხო ადგილია მთელ სახლში, რადგან ოთახებში, არავინ იცის, ჭერი როდის ჩამოიქცევა.

– აქედან უფრო იოლად გავასწრებთ, – ამბობს ნინო.

ერთ ოთახში ისევე წვიმს, როგორც გარეთ (არ შეგეშინდეთო, იმ ოთახში შესვლისას გაგვაფრთხილეს ჩვენც) და ზამთარში ქარი რომ ქრის, ოთახში მიკრული ქაღალდები შიგნითაც ქრის. შეშის ღუმელი ოდნავ თუ ტეხს სიცივეს.

ახლა ოჯახი მარიამის პენსიითა და სოციალურად დაუცველთა შემწეობით ცხოვრობს. ხანდახან ძალიან მიზერული გასამრჯელოს ფასად სხვების საქონელსაც მწყემსავენ.

– ჩემი პენსია 100 ლარია, სტაჟი მაქვს და, წესით, მეტი უნდა მქონდეს, მაგრამ ზოგიერთ საბუთში მარიამი ვარ, ზოგან მაშო, ზოგან – მაშიკო და ახლა ყველაფრის აღდგენასა და შეცვლას დუშეთში იმდენი სირბილი დასჭირდება, ვერ ვახერხებ. ბიჭები ძალ-ღონით სავსენი არიან, მაგრამ ვერ მუშაობენ. ინტერნატში გაიზარდნენ და არც რაიმე პროფესია აქვთ, – ამბობს მარიამი.

ერთადერთი ახალი რაც ამ ოჯახშია, მაგთიფიქსის ტელეფონია. აქ მხოლოდ მაგთიფიქსი იჭერს. კედელზე კი სათუთად ჩამოუკიდიათ ცელოფანში ჩასმული „ახალი საქართველო“, გამოცემა, რომელშიც აწ უკვე ყოფილმა ხელისუფლებამ აღმშენებლობითა და წარმატებებით მოინონა თავი.

ამ სოფელში აღმშენებლობას ვინ ჩივის, უგზოობა და უსინათლობა აწუხებთ.

– სამანქანოს ვინ ჩივის, ისეთი გზა მაინც გაკეთდეს, ურიკით რომ შევძლოთ რამის ამოტანა, –ამბობენ ჭიკაიძეები.

შარშან სოფლის დახმარების პროგრამით მათთან და კიდევ მეორე ოჯახში დამონტაჟდა მზის ბატარეები, მაგრამ ან, დღისითაც როგორ ბჟუტავს ეს ნათურა, ღამით განათებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

საქართველოს კონსტიტუციით, თითოეულს ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

მარიამ ჭიკაიძის ოჯახში ბავშვები ისე გაიზარდნენ, ტელევიზორი არ ენახათ. შოთა ჭიკაიძის ასევე მრავალშვილიან ოჯახში ამ მხრივ ცოტა უკეთ არის საქმე:

– მე და ჩემმა ძმამ, აი, ეს ტელევიზორი გავაკეთეთ, – გვიჩვენებს ლევანი.

მზის ბატარეით განათებულ პატარა ტელევიზორში ბუნდოვნად ჩანან მოკამათე დეპუტატები. აღარ ჩივიან იმას, რომ მხოლოდ ერთ არხს შეუძლიათ უყურონ, არჩევანი მწირია, ან რუსთავი 2-ს უნდა უყურონ, ან, თუ ანტენას შეატრიალებენ, საზოგადოებრივს.

ლევან ჭიკაიძე 22 წლისაა, ანანურის სკოლა დაამთავრა, მერე – ერთ-ერთი კოლეჯის ჟურნალისტიკის სპეციალობა და სპორტულ გაზეთში მუშაობდა. გაზეთი ცოტა ხნის წინ დაიხურა და ახლა ლევანი უმუშევარია. სპეციალობით მუშაობა აღარ მინდა, ძალიან დაბალი იყო ანაზღაურება, ამბობს. რას გააკეთებს, ჯერ არ იცის.

– ამ ოჯახში მამა რომ ჰყავთ, მაინც დიდი ძალაა. ახლა მამა შეშაზეა წასული, შეშის მოტანა რთული არ არის, გარშემო სულ ტყეა, – ამბობს ჩვენი მეგზური, ნუნუ დეიდა.

ლევანსაც 5 დედმამიშვილი ჰყავს, უფროსი და გათხოვილია, მომდევნო მაიკო 36 წლისაა, მას ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, მაგრამ პურის ცხობასა და ოჯახის პატრონობას ახერხებს. დედა ქვემოთ ვაჭრობს, ძირითადად, ტყის ნობათით. დღეს მას ლევანი უნდა დახვდეს ცხენით, რომ ბარგი, საკვები ამოიტანონ.

ერთი ტომარა ფქვილი 50 ლარია. როცა მთელი ოჯახი აქ არის, 1 კვირასაც არ ჰყოფნით ტომარა.

– აქამდე შემწეობასაც ვიღებდით, ახლახან მოგვიხსნეს. საიდან მოიტანეს, არ ვიცით, მაგრამ რომელიღაც ძმა საკონტრაქტო სამსახურით მუშაობსო, თუმცა არცერთი არ ვყოფილვართ, – ამბობს ლევანი.

ციხისსოფლელები ძირითადად მესაქონლეობით ირჩენენ თავს, მაგრამ საქონელსაც ხან ნადირი ერჩის, ხან გრიპი თუ ჭირი. ერთ წელს ქათმები მთავრობის მითითებით გაწყვიტეს.

– რამდენიმე წლის წინ 50 ცხვარს ერთად გამოღადრა ყელი ნადირმა. მარიამის შვილი, პატარა გოგო, მწყემსად რომ ედგა ფარას, საბედნიეროდ, გადარჩა. მისმა კივილმა შეყარა 2 სოფელი. ის შიშმა კი არ ააკივლა, იმან, ფარის პატრონობა რომ ვერ შეძლო, – იგონებს ნუნუ შადური.

◆ ◆ ◆

ამასწინათ საქონელი ქედს გაღმა გადასულიყო და მეორე მხარეს ოსებს წაეყვანათ, მაგრამ ლევანის დედას ნათესავები ჰყავს იქით და დაბრუნება მოახერხეს.

მოკლედ, ძალიან ჭირს იქით, ციხისსოფელში, თუმცა ჩვენ ცხელი პურით, ყველითა და ვაშლით მაინც გაგვიმასპინძლდნენ.

იმ ადამიანების უმეტესობამ, დგნალის ხეობაში რომ ცხოვრობს, როგორც გვითხრეს, ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა. ციხისსოფელში ჭიკაიძეებს ოჯახში დიდი დროშაც აღმოაჩნდათ.

– გვჯერა, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება, – ამბობენ.

მეც მინდა, მჯეროდეს.

**თინიკო მოსიაშვილი, მთის ამბები. გე**

# სოსო შატბერაშვილი: „შემცირებულ თანამშრომლებს კომპენსაცია უნდა გადაუხადონ“

## „პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი დასაქმებაა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე „მემარცხენე ალიანსის“ გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილს ესაუბრა.

***– ნაციონალური მოძრაობის გახლეჩას სხვადასხვანაირი შეფასებები მოჰყვა. ხომ არ მოხდება ისე, რომ დაცარიელებულ ოპოზიციურ ნიშას მხოლოდ ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ დაიკავებენ?***

– არა მგონია, ოპოზიციური ნიშა მათ დაიკავონ. ხდება ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანი მოვლენა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საბოლოოდ იშლება. ამ პარტიიდან პოლიტიკოსების წამოსვლა ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე დაიწყო. მისი რიგები კობა დავითაშვილმა ჯერ კიდევ მაშინ დატოვა. მოაზროვნე ადამიანები მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს ფაშისტური ორგანიზაციაა. ბევრი ამას მერეც აცნობიერებდა, მაგრამ ხეირის გამო სააკაშვილს არ ემიჯნებოდა.

***– ნაცმოძრაობა, ფაქტობრივად, ერთი კაცის პარტიაა?***

– ბოლო არჩევნებზე მიღებული ნახევარი მილიონი ხმა მხოლოდ სააკაშვილისაა. ეს არ არის ბოკერიასა და ბაქრაძის ხმები. სააკაშვილის მიმართ ძალიან ნეგატიურად ვარ განწყობილი, მაგრამ ვაღიარებ, რომ მას ჰყავს მხარდამჭერები. მიუხედავად იმისა, რომ მას ბრძოლის ველიდან გაქცეული უმაღლესი მთავარსარდლის სახელი აქვს, სააკაშვილი მაინც ქარიზმატული ლიდერია მოსახლეობის ნაწილისთვის.

***– ეს მხარდამჭერები მომავალი არჩევნებისთვისაც ხომ ეყოლება?***

– მომავალი არჩევნებისთვის სააკაშვილს რესურსები აღარ დარჩება. ის ამ ხმებს ვერ აიღებს. სულ ცოტა ხნის წინ მის მიმდევრებს იმედი ჰქონდათ, რომ ის ნებისმიერი გზით, გადატრიალების ჩათვლით, დაბრუნდებოდა. ეს სცენარი არ გამოუვიდათ. ახლა სხვა სიტუაციაა, მაგრამ სააკაშვილი მაინც საფრთხეს წარმოადგენს. ის ყოველთვის გაუწონასწორებელი იყო, ახლა კი უმძიმეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. აქ პარტია ეშლება, უკრაინაში კრახი განიცადა. უკრაინის პარტიას რომ აფუძნებდა, 10-მილიონიან კიევში მიტინგზე 5.000 კაცი ძლივს შეკრიბა. სააკაშვილმა, თუ ბრძოლაში არ არის, შეიძლება, სუიციდით ან საგიჟეთით დაამთავროს.

***– იგი 20 იანვარს საქართველოში პარტიის ყრილობაზე აპირებს 7.000 წევრის მობილიზებას.***

– ყრილობას ჩაატარებენ, მაგრამ მომავალი არჩევნებისთვის სააკაშვილი ნახევარ მილიონ ხმას ვეღარ მიიღებს. არჩევნების წინ იმათ, რომლებიც სააკაშვილზე აფანატებენ, დაიჯერეს, რომ სააკაშვილი ჩამოდის. სანდრა რულოვსს გვირაბზე ტყუილად არ გაუკეთებია განცხადებები. სამწუხაროდ, საქართველოში ისევ სჯერათ მესიანიზმის. სააკაშვილს ადრე წმინდა გიორგიც კი შეარქვეს. როცა სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე იყო, ჩვენმა ფრაქციამ წამოვაყენეთ ინიციატივა, თავისუფლების მოედნისათვის დაგვერქმია ზვიად გამსახურდიას სახელი. სააკაშვილი ამის წინააღმდეგი იყო. შემდეგ გაირკვა, რომ მას ამ მოედნისთვის თავისი სახელის დარქმევა სდომებია.

***– სააკაშვილს თავისუფლების მოედნისთვის თავისი სახელის დარქმევა უნდოდა?***

– დიახ. წმინდა გიორგის ძეგლიც ამ გათვლით დაიდგა. მანამდე ის აპირებდა, ტრიუმფალურად შესულიყო ცხინვალსა და სოხუმში. ასეთი ბოდვები აწუხებდა. მოსახლეობამ უნდა გაიგოს, რომ ხსნა რომელიმე მესიაში კი არა, მუხლჩაუხრელ შრომაშია. ასე განვითარდნენ იაპონია, გერმანია და სხვები. „ქართულმა ოცნებამ“ ბევრ მხარდამჭერს გაუცრუა იმედი. ცუდია, რომ ჩვენ, დანარჩენმა პარტიებმა, ვერ მოვახერხეთ ხალხის დარწმუნება იმაში, რომ არჩევნებზე მხარი დაეჭირა რომელიმე ჩვენგანისთვის და არა – ნაცმოძრაობისთვის. ვერც გაერთიანება შევძელით. ახლა ქუჩაში ხალხი მაჩერებს და ტრადიციულ კითხვას მისვამს – გვეშველება რამე?

***– სოციალური ფონი სულ უფრო მძიმდება.***

– სოციალურ ფონს ამძიმებს საჯარო სამსახურებიდან ხალხის დათხოვნა. დამაიმედებელი სიახლეა, რომ შემცირებულ სამხედრო მოსამსახურეებს უბრალოდ კი არ გაუშვებენ, არამედ სოლიდურ კომპენსაციას გადაუხდიან. სხვა სფეროებში დათხოვნილ თანამშრომლებსაც უნდა გადასცენ კომპენსაციები, ასევე – მადლობის სიგელები. ამისკენ მოვუწოდებ მთავრობას.

შს მინისტრი შესამცირებელ მუშაკებს ბალასტს არ უნდა ეძახდეს. დათხოვნილი სამხედროები გმირულად იბრძოდნენ 2008 წელს, როცა უმაღლესი მთავარსარდალი ბრძოლის ველიდან გარბოდა.

***– სპეციალისტები, რომლებიც საქართველოში პროსტიტუციის პრობლემას იკვლევენ, აცხადებენ, რომ პრემიერის ამ თემაზე გაკეთებული განცხადება ამ პროცესს მხოლოდ ორი-სამი თვით შეანელებს. ხომ არ არის საჭირო საკანონმდებლო რეგულაციები?***

– მთავარია არა კანონის გამკაცრება, არამედ აღსრულება. ქუჩების დანაგვიანებისთვის ჯარიმის გაზრდამ შედეგი არ მოიტანა. ნაგვის დაყრა ვიღაცამ უნდა გააკონტროლოს. ასეა პროსტიტუციაც. პრემიერს უნდა აწუხებდეს არა ის, რომ პროსტიტუციის ადგილებში არ უშვებენ ქართველ მამაკაცებს, არამედ ამ ბუნაგების არსებობა.

პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები ყაზბეგის გამზირზეც იკრიბებიან. იქ ხშირად მიხდება გავლა. ისინი ამბობენ, რომ საკუთარი თავი ეზიზღებათ და, ქარხანა-ფაბრიკები რომ იყოს, იქ იმუშავებდნენ. ამ გაუბედურებულ ქალებს სამედიცინო მეთვალყურეობაც სჭირდებათ. პროსტიტუცია უმძიმესი სოციალური პრობლემაა. მათხოვრობა და მეძავობა უძველესი დროიდან მოდის. მთავარია, არ იყოს ისეთი დიდი მასშტაბები, როგორიც ახლა საქართველოშია, მით უმეტეს, არ უნდა ყვაოდეს გადამთიელების მიერ ორგანიზებული ბუნაგები. არაბებს, თურქებს, სპარსელებს უნდა გავაგებინოთ, რომ საქართველო პროსტიტუციის ადგილი არ არის!

# მამუკა ტუსკაძე: „მობილურ ოპერატორებს მოსმენებზე ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ“

პარლამენტი მოსმენების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანაზე მუშაობს. ამ კანონში ცვლილებები პარლამენტს არასამთავრობოების საჩივრის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ განუსაზღვრა.

კანონში რამდენიმე მუხლი ბუნდოვნადაა მიჩნეული და მოსმენების გასაღები ისევ სადავო საკითხია. უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ გასაღებზე წვდომა სპეცსამსახურებს მხოლოდ ტერორიზმის საქმეებთან დაკავშირებით უნდა ჰქონდეთ.

გულიკო ბალაძე

***– ბატონო მამუკა, პარლამენტში მოსმენების შესახებ კანონი განიხილება. საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის ზოგიერთი მუხლი ბუნდოვნად მიიჩნია. დავაა იმაზეც, ვის უნდა ჰქონდეს მოსმენების გასაღები. თქვენი აზრით, ვის უნდა ჰქონდეს მართვის პულტზე წვდომა?***

– 2016 წლის 14 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პარლამენტს განუსაზღვრა ორი წესი – 2017 წლის 31 მარტამდე მიიღოს გადაწყვეტილება და შეცვალოს კონკრეტული მუხლები, მათ შორის, ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით, ელექტრონულ კომუნიკაციებთან დაკავშირებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან, კონტრდაზვერვასთან, სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა ნორმატიულ აქტებში, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ უკავშირდება ფარულ მოსმენებსა და მიყურადებას.

ეს გამოიწვია რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისა და სახალხო დამცველის საჩივარმა საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც ბუნდოვნად ცნო მუხლი. შუალედური გადაწყვეტილებით, 2017 წლის 31 მარტამდე პარლამენტს გონივრული ვადა განესაზღვრა, რომ ბუნდოვანი მუხლები გაასწოროს.

მეორე მხარესაც მიეთითა, რადგან ისინი ცალსახად და იმპერატიულად ითხოვდნენ, რომ მართვის პულტი კერძო კომპანიებს გადასცემოდათ.

***– კერძო კომპანიებისთვის მართვის პულტის გადაცემა მიზანშეწონილია?***

– პარლამენტში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან პარლამენტარები და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც სარჩელი ჰქონდათ შეტანილი. როგორც უფლებადამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წარმომადგენელი, ვითხოვ, ჩვენი ერთი წარმომადგენელი მაინც იყოს ამ ჯგუფში ჩასმული.

***– პარლამენტისთვის კონკრეტული შეთავაზებები გაქვთ?***

– დიახ, ჩვენ ამ საკითხზე ვიმუშავეთ. ახლა მოსარჩელე მხარის წინადადებაა, პარლამენტთან შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც პარლამენტის მეთვალყურეობის ქვეშ, დამოუკიდებლად იფუნქციონირებს და მართვის პულტზე წვდომა ექნება.

***– თქვენ ამ წინადადებას არ ეთანხმებით?***

– ჩვენ ნაწილობრივ ვეთანხმებით. ტერორისტულ ეპოქაში ვცხოვრობთ. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობაც ისეთია, რომ ტერორიზმის საფრთხე მართლაც დიდია. ამიტომ ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია, „უფლებადამცველთა სახლი“, მხარს ვუჭერთ, რომ მართვის პულტი სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში დარჩეს, ოღონდ მოიძებნოს სხვა ფორმა.

***– კერძოდ, რა ფორმა?***

– კომპეტენტური სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შეიქმნას დაახლოებით ისეთი სტრუქტურა, როგორიც არის პროკურატურის სამეთვალყურეო საბჭო, იუსტიციის საბჭო ან სხვა ზედამხედველობის საბჭოები პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და საქართველოს პარლამენტთან, სადაც წარმოდგენილია ხალხის ხმა.

კვალიფიციური მეცნიერებითა და სპეციალისტებით დაკომპლექტდეს 10-12-კაციანი ჯგუფი, რომელიც დამოუკიდებელი სტრუქტურა იქნება და გააკონტროლებს ფარულ მოსმენებს. ამავდროულად, ჯგუფი ორ კატეგორიად გაიყოს. ერთი მუშაობდეს კონკრეტულად ტერორიზმზე (პირდაპირ, კლასიკური გაგებით), მეორე – საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე.

ორივე შემთხვევაში პულტზე წვდომა უნდა ჰქონდეს ამ ორგანიზაციას. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ საპარლამენტო.

***– რატომ?***

– რადგან შეიძლება, პარლამენტის პოლიტიკური ბერკეტები იქნეს გამოყენებული პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.

აქცენტი ტერორიზმზე უნდა იყოს. თუ ეჭვი იქნება ტერორიზმთან დაკავშირებით, საბჭოს უნდა შეეძლოს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც ჩართოს მოსმენაზე პიროვნება თუ ორგანიზაცია. თუ არის საზოგადოების უსაფრთხოებისთვის საფრთხე, მაშინ სასამართლომ ამაზე ნებართვა უნდა გასცეს. ორივე შემთხვევაში კონტროლი უნდა გაიაროს მოსმენების მაკონტროლებელ სტრუქტურაში.

***– პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს რა ფუნქცია ექნება?***

– შეიძლება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახური გარდაიქმნას მაკონტროლებელ სტრუქტურად ისე, რომ საჯარო კოლეგიალური ორგანო იყოს. პერსონალური დაცვის ინსპექტორი ერთი კაცია და მას ჰყავს აპარატი, ტექნიკური პერსონალი.

ჩვენ არ გვინდა 1 ინსპექტორი, კოლეგიალური ორგანო გვინდა, 10-12-კაციანი, რომელიც გაიყოფა 2 ჯგუფად.

როცა უსმენენ, მობილური ოპერატორი ხედავს, რომ ისმენენ, იცის, რა ნომერია ჩართული, მაგრამ, ვის უსმენენ, ვერ ხედავს. საქართველოში ლეგალურად ერთადერთი აპარატია შემოსული. ითვლება, რომ მოსმენები იმ აპარატურით ხორციელდება, თუმცა, არ არის გამორიცხული, ამგვარი აპარატურა არალეგალურადაც იყოს შემოტანილი.

***– ამაზე იყო საუბარი, რომ სააკაშვილის პერიოდში არალეგალურადაც ჰქონდათ შემოტანილი აპარატურა და ნაციონალების დამარცხების შემდეგ აპარატურა დამალეს.***

– სწორედ ამიტომ ოპერატორს უნდა ჰქონდეს ვალდებულება, თუ რომელიმე კონკრეტულ ნომერზე რაღაც ჩართულია და ციმციმებს, მაგრამ კონკრეტული ნომრის მოსმენაზე არც სასამართლოს გადაწყვეტილებაა და არც – ტერორიზმზე მომუშავე ჯგუფის, საგამოძიებო ორგანოებს აცნობოს. ამგვარი ქმედება უნდა იყოს დასჯადი. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ვინ ისმენს და რამდენად კანონიერად.

***– მობილურ ოპერატორებს დღეს ამის ვალდებულება არ აქვთ?***

– დღეს მობილურ ოპერატორებს ამის ვალდებულება არ აქვთ. ამის მკვლევარი ორგანიზაცია, სასამართლოს გადაწყვეტილებით ისმენენ თუ გადაწყვეტილების გარეშე, უნდა შეიქმნას. ჩვენ მოვითხოვთ, რაც შეიძლება ავწიოთ სტანდარტი და სასამართლო გადაწყვეტილება რაც შეიძლება მეტ შემთხვევაში არსებობდეს.

მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს დაშვებული სასამართლო გადაწყვეტილების არქონა. მაგალითად, თუ არსებობს ტერორიზმის საფრთხე და გადაუდებელი აუცილებლობაა, სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე შეძლოს მოსმენაზე ჩართვა და შემდგომ იმსჯელოს სასამართლომ, რამდენად კანონიერად მოხდა მოსმენა და თხოვნა დააკმაყოფილოს.

***– განსხვავებული აზრიც არის.***

– დიახ, არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იჩემებენ, გინდა თუ არა, მოსმენების პულტი კერძო სექტორს გადაეცესო. მე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი და ადვოკატი, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მოსმენებზე ხელი კერძო სექტორს მიუწვდებოდეს.

***– კერძო სექტორს, ანუ ვის?***

– მობილურ ოპერატორებს, რასაც ვერაფრით დავეთანხმებით. მობილური ოპერატორებიდან დღეს შეიძლება ვიღაც რუსეთის არის, ვიღაც – ამერიკის ან სხვა ქვეყნის. ამიტომ მობილური ოპერატორებისთვის მოსმენების გასაღების გადაცემა კიდევ უფრო დიდ რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

მობილურ ოპერატორებს სხვა პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ. მართვის პულტს მათ ვერ ჩავაბარებთ. საქმე ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება. როგორ შეიძლება, რაღაც შეპესეებს, გაურკვეველ თუ გარკვეულ წარმონაქმნებს ამის უფლება მიეინჭოთ.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# როდის იგეგმება ენგურჰესის გაჩერება?

მიმდინარე წელს ოთხი კვირით (20 კალენდარული დღით) ენგურჰესის გაჩერება იგეგმება.

როგორც ბიზნესპრესნიუსს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკის დეპარტამენტის უფროსმა დავით შარიქაძემ განუცხადა, ჰიდროელექტროსადგური, სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოს ან მარტში გაჩერდება.

ჰიდროელექტროსადგურის გაჩერების მიზეზი სადაწნევო დერივაციული გვირაბიდან ფილტრაციის წყლების საგრძნობი მატების მიზეზების დადგენა და აღდგენითი ღონისძიებების დაგეგმვაა.

ამიერკავკასიაში უდიდესი ჰესის, ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ენერგია ნაწილობრივ საქართველოს, ნაწილობრივ კი აფხაზეთის ელექტროენერგიით უზრუნველყოფას ხმარდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზამთრის პერიოდში გამომუშავებული ელექტროენერგია ფაქტობრივად, სრულად აფხაზეთს მიეწოდება.

ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის თქმით, სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ელექტროენერგიის თვალსაზრისით აფხაზეთს პრობლემები არ შეექმნას, დავით შარიქაძემ კი ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ენგურჰესის გაჩერების პერიოდში დანაკლისი ენერგოსისტემის შიდა



რეზერვებისა და იმპორტირებული ენერგიის ხარჯზე უნდა დაბალანსდეს.

ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2016 წელს ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ენერგია 3.568.694 მილიონი კილოვატი საათი იყო, აქედან 1.924.651 მილიონი კილოვატი საათი (53%-ზე მეტი) აფხაზეთზე მოდიოდა.

2015 წელს აფხაზეთის უზრუნველყოფას ჰესის მიერ გამომუშავებული ენერგიის 54%-ზე მეტი, 2014 წელს კი 49%-ზე მეტი მოხმარდა.

**ბიპიენი**

# ამბროლაურში აეროპორტი გაიხსნა

## კვირიკაშვილი: „ამბროლაურის აეროპორტი რაჭა-ლეჩხუმის ჭიშკარია“

14 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ამბროლაურში აეროპორტი გახსნა.

როგორც ბიზნესპრესნიუსს მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, ახალმა აეროპორტმა უკვე მიიღო პირველი თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იმყოფებოდა.

პრემიერმა შეკრებილ მოსახლეობას აეროპორტის გახსნა მიულოცა და აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

მთავრობის მეთაურმა ამბროლაურის აეროპორტის თანამედროვე დიზაინის სრულიად ახალი სამგზავრო ტერმინალიც გახსნა, რომელიც ასევე უმოკლეს დროში აშენდა.

– რაჭაში მევენახეობა და მეღვინეობა ძალიან დიდი აღმავლობის გზაზეა, – განაცხადა პრემიერმა აეროპორტის ტერმინალის გახსნისას.

მისი თქმით, აეროპორტი არ არის მხოლოდ აეროპორტი.

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენი უდიდესი გეგმებისა, რომელსაც ვაპირებთ მთელი საქართველოს მასშტაბით და, რა თქმა უნდა, რაჭაში. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. ეს არის ის მოდელი, როგორიც იქნება ჩვენი საქართველო რამდენიმე წლის შემდეგ, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ამბროლაურის აეროპორტი რაჭა-ლეჩხუმის ჭიშკარია ტურისტებისთვის.

– რაჭაში მევენახეობა და მეღვინეობა ძალიან დიდი აღმავლობის გზაზეა. ეს არის ადგილობრივი ოჯახური და უფრო მოზრდილი სასტუმროების მხარდაჭერა, ეს არის მიკროგრანტების მხარდაჭერა, რომელიც ეხმარება მიკრომეწარმეებს, ოჯახებს, ოჯახური მეურნეობების მართვაში და, რა თქმა უნდა, ეს არის უამრავი ჩამომსვლელი ტურისტი, რომელიც არის დამატებითი შემოსავალი ამ რეგიონის მოსახლეობისთვის.

ეს აეროპორტი არის რაჭა-ლეჩხუმის ჭიშკარი, რომლითაც უამრავი ტურისტი ჩამოვა აქ. ეს იქნება კეთილდღეობა მიტანილი თითოეული ოჯახის, თითოეული ადამიანის ბიუჯეტში, რომელიც აქ ცხოვრობს, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

◆ ◆ ◆

ამბროლაურის აეროპორტი პირველ ეტაპზე მცირე ზომის – 15-20-ადგილიან საჰაერო ხომალდებს მოემსახურება, ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სიგრძე 1.100 მეტრს შეადგენს, ხოლო აეროპორტის ტერმინალის ფართობი 600 კვ.მ.-ია და დაახლოებით 50 მგზავრის ერთდროულად

გატარებაზეა გათვლილი.

პერსპექტივაში გათვალისწინებულია უფრო დიდი ხომალდების მიღების შესაძლებლობა და, მგზავრთნაკადის ზრდის შემთხვევაში – ტერმინალის გაფართოებაც.

ამბროლაურში აეროპორტის მშენებლობის ინიციატივა პრემიერ კვირიკაშვილს ეკუთვნის, რაზეც მუშაობა 2016 წლის აგვისტოდან დაიწყო. სექტემბერში გაფორმდა ხელშეკრულებები ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან, რომლებმაც სამუშაოები უმოკლეს ვადებში შეასრულეს.

ოქტომბრის დასაწყისში დასრულებული იყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაპროექტებული ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი, რომელიც გიორგი კვირიკაშვილმა გახსნა. პრემიერი იმ საჰაერო ხომალდის მგზავრი იყო, რომელიც 6 ოქტომბერს, ახლად აშენებულ საფრენ ბილიკზე დაეშვა.

ამბროლაურის აეროპორტი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტია, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას და გაზრდის რეგიონის სატრანსპორტო მისაწვდომობას, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საქართველოს მასშტაბით, რეგიონული აეროპორტების მშენებლობა, მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ყველაზე მოცულობითი – სივრცითი მოწყობის კომპონენტის – უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მთავრობა ამ მიმართულებით მუშაობას განაგრძობს.

**ბიპიენი**

# კომპანია „კამპა“ წვენების ტექნიკური რეგლამენტის შემოღებას ითხოვს

წვენების მწარმოებელი კომპანია „კამპა“ წვენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შემოღების დაჩქარებას ითხოვს.

როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე ბუაძემ განაცხადა, აღნიშნული რეგლამენტის შემოღება დაარეგულირებს ბაზარზე თამაშის წესებს და ქართულ პროდუქციას უცხო ქვეყნის ბაზრებზე კონკურენტუნარიანს გახდის.

როგორც ბუაძემ აღნიშნა, წვენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შემუშავებასთან დაკავშირებით ისინი ინიციატივით შარშან გამოვიდნენ, დაიწყო საუბარი სახელმწიფო სტრუქტურებთან. კომპანიის გენერალური დირექტორის თქმით, კარგი იქნება თუ აღნიშნული პროცესი დაჩქარდება და როგორც რძის სფეროში მოხდა რეგლამენტის მიღება, ანალოგიური განხორციელდეს წვენების დარგში.

– ამ რეგულაციის შემოღების შედეგად დარეგულირდება ეტიკეტირების სტანდარტები და ბაზრის მოთამაშეებს შორის თამაშის წესები. როდესაც ამ რეგლამენტის მიღება მოხდება, შესაბამისად, ბაზარიც დაიწმინდება უხარისხო პროდუქციისგან. ამისგან მომხმარებელიც მიიღებს სარგებელს და მწარმოებელიც. ეს არის სწორი ნაბიჯი და ამ გზით უნდა ვიაროთ სხვა სფეროებშიც, – განაცხადა ბუაძემ.

როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, დღეის მდგომარეობით, დსთ-ის ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქციას არ უწევს გადასახადის 12%-ის გადახდა, ხოლო იმ ნედლეულზე, რომელიც „კამპას“ საქართველოში შემოაქვს, გადასახადის გადახდა უწევს.

– ისეთ ტროპიკულ ნედლეულზე, რომელიც საქართველოში არ მოდის და ვერც მოვა, გვიწევს 12%-ის გადახდა, რაზეც ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია და სამწუხაროდ, ჯერჯერობით შედეგი ვერ მივიღეთ, მაგრამ, იმედია, ესეც გამოსწორდება, – განაცხადა ბუაძემ.

კომპანია „კამპა“ 35 დასახელების პროდუქტს აწარმოებს. აღნიშნული პროდუქცია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გააქვთ ექსპორტზე დსთ-ის ქვეყნებში, დუბაიში, ასევე ჩინეთშიც.

ბუაძე მომავალში ექსპორტის გაფართოვებას ვარაუდობს. მისი თქმით, „კამპას“ პროდუქცია შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციებს „წვენებისა და ნექტარების შესახებ“ და, შესაბამისად, აღნიშნული პროდუქციის გატანა შესაძლებელია ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში.

გარდა ამისა, „კამპას“ გენერალური დირექტორი ქართველი მომხმარებლების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზეც საუბრობს.

– მნიშვნელოვანია, ქართველმა მომხმარებელმა გაიცნობიეროს ის, თუ რა მოჰყვება ქართული პროდუქციის შეძენას. ის, რომ ადგილობრივი საწარმოები ასაქმებენ ხალხს, იხდიან გადასახადებს, რაც საბოლოო ჯამში, ისევ მომხმარებლისა და ქვეყნის კეთილდღეობაზე აისახება, ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას.

ჩვენი, როგორც მეწარმეების გამოწვევა და ვალდებულებაა, ვაწარმოოთ ისეთი ხარისხის პროდუქტი, რომ მომხმარებელმა ქართული პროდუქტი იყიდოს, – განაცხადა ბუაძემ.

**ნათია რუხაძე, ბიპიენი**

# გასულ წელს საქართველომ რუსეთისგან გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ 185 მლნ კუბური მეტრი გაზი მიიღო

2016 წელს სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტის სანაცვლოდ, საქართველომ რუსული კომპანია „გაზპრომისგან“ 185 მილიონი კუბური მეტრი გაზი მიიღო.

ამის შესახებ ბიზნესპრესნიუსს ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს.

2016 წელს „გაზპრომმა“ საქართველოს გავლით სომხეთს ტრანზიტის სახით 1 მილიარდ 850 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიაწოდა. აქედან 10% – 185 მილიონი კუბური მეტრი კი საქართველომ ტრანზიტის სანაცვლოდ მიიღო.

სამინისტროს ცნობით, საქართველოს წლიური მოხმარება გასულ წელს 2 მილიარდ 300 მილიონი კუბური მეტრი იყო. აქედან 90%-ზე მეტი აზერბაიჯანული გაზია.

რუსულ კომპანია „გაზპრომთან“ ახალი პირობებით დადებული ხელშეკრულების თანახმად კი, სომხეთში გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ ქართული მხარე ფულად ანაზღაურებაზე გადავა. ენერგეტიკის სამინისტროში არ აკონკრეტებენ თუ რა საფასურს გადაიხდის რუსეთი სომხეთში გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ, რადგან ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია.

თუმცა, მინისტრმა კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ევროპის ქვეყნებს შორის. მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილის განცხადებით კი საქართველო მიიღებს საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას როგორც ტრანზიტორი ქვეყანა, მაგრამ ეს არ იქნება ნედლეულის სახით მიღებული 10%-ის შესაბამისი.

„გაზპრომთან“ დადებულ ხელშეკრულებას ვადა გასული წლის 31 დეკემბერს გაუვიდა. ახალი ხელშეკრულება კი ორწლიანია, თუმცა, პირველ წელს ნედლეულით ანაზღაურების ფორმა ნაწილობრივ ისევ რჩება, ხოლო შემდგომ ფულადი ანგარიშსწორება გაგრძელდება.

ახალი ხელშეკრულების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, სეზონური დეფიციტის დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობის შემცირებულ ფასად – 215 დოლარის ნაცვლად 185 დოლარად მიღება იქნება შესაძლებელი.

**ბიპიენი**

# ჩურჩხელა ექსპორტზე ირანში გავიდა

ქართული ჩურჩხელა ექსპორტზე ირანში გავიდა.

პირველი საცდელი პარტია, სხვადასხვა სახეობის 1.000 ცალი ჩურჩხელა, ისპაჰანში ქართული პროდუქტების კომპანია „გრემმა“ გაიტანა.

კომპანიის დამფუძნებლის გიორგი მაჩაბლის თქმით, ჩურჩხელა ფერეიდენელმა მეწარმემ თავისი ახლადგახსნილი ქართული რესტორნისთვის შეიძინა.

– ჩემი აზრით, ირანში ექსპორტი მომავალში უფრო გაიზრდება, რადგან პროდუქტის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია. პროდუქტის ტრანსპორტირებისთვის სპეციალური ხის ყუთები შევუკვეთეთ, რათა ჩურჩხელა გზაში არ გატყდეს. ასევე მომზადებისა და გაშრობის პროცედურებს ვიცავთ და პროდუქტს არ ვღებავთ, – განაცხადა კომპანია „გრემის“ დამფუძნებელმა.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ირანში თაფლის პირველი სატესტო პარტიაც გაიგზავნა.

გიორგი მაჩაბლის თქმით, კომპანიას თავისი პროდუქტი ექსპორტზე ყაზახეთში, რუსეთსა და უკრაინაში უკვე გააქვს. ევროპისა და ბალტიის ქვეყნებში კი მცირე რაოდენობით პროდუქტის სატესტო პარტიები გაიგზავნა.

ქართული ნატურალური პროდუქტების კომპანია „გრემმა“ 2 თვის წინ დაიწყო ფუნქციონირება. კომპანია მურაბებს, ჯონჯოლს, აჯიკას, სვანურ მარილს, თაფლსა და სხვა 15-მდე სახის პროდუქტს აწარმოებს.

**თათია ახვლედიანი, ბიპიენი**

# ფორბსმა კახეთი ღვინის საუკეთესო 12 მიმართულებას შორის დაასახელა

ფორბსმა 2017 წლის ღვინის საუკეთესო რეგიონები დაასახელა.

გამოცემა, ჯამში, 12 ქვეყანას ასახელებს და მათ მონახულებას მკითხველს წელიწადის სხვადასხვა თვის მიხედვით ურჩევს.

იტალიის, ახალი ზელანდიის, ესპანეთისა და არგენტინის გვერდით მოხვდა საქართველოც, კერძოდ კი კახეთის რეგიონი, სადაც მოგზაურობას ფორბსი მკითხველებს მაისში ურჩევს.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში საქართველო, როგორც ღვინის მიმართულება, არაერთხელ მოხვდა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში.

ამასთან, გამოცემა წერს, რომ საქართველოში ღვინის ტურის მოსაწყობად ერთ-ერთი საუკეთესო რეგიონი კახეთი და მისი სოფლებია.

ღვინის გარდა, ავტორი მკითხველს ქართული ტრადიციული კერძების დაგემოვნებასაც ურჩევს.

**ბიზნესკონტაქტი**

# ჩინური მხარე კომპანია „შილდისგან“ 5 მილიონ ბოთლ ღვინოს შეიძენს

ქართული ღვინის მწარმოებელმა კომპანია „შილდამ“ ჩინურ მხარესთან რეკორდული მოცულობის კონტრაქტი გააფორმა.

მომდევნო 3 წლის განმავლობაში ჩინური ღვინის იმპორტიორი კომპანია „შანხაი სციფან თრეიდინგი“ „შილდისგან“ 5 მილიონ ბოთლ ღვინოს შეიძენს.

მიხეილ და ნათია ჩხარტიშვილების მიერ დაფუძნებული კომპანია „შილდის“ მიერ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შემდგარი ეს გარიგება უპრეცედენტოდ მასშტაბურია, რამდენადაც თითქმის უტოლდება 2016 წელს საქართველოდან ჩინეთის ბაზრებზე ექსპორტირებული ღვინის მთლიან მოცულობას.

კომპანია „შილდაში“ აღნიშნავენ, რომ ჩინეთში იმპორტიორებისა და ალკოჰოლური სასმელების მომხმარებლის ქართული ღვინისადმი ინტერესი მზარდია.

„შილდასა“ და „შანხაი სციფან თრეიდინგს“ შორის ხელშეკრულებას ჩინეთში ხელი 11 იანვარს მოეწერა.

გარიგების გაფორმებას ესწრებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის წარმომადგენელი.

**კომერსანტ-ეე**

# პოლიციამ მაკა ჩიჩუას ძმა დააკავა

## მიხეილ მგალობლიშვილი ბრალდებას არ აღიარებს

საქართველოს პირველი ლედის მაკა ჩიჩუას ძმა მიხეილ მგალობლიშვილი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, მიხეილ მგალობლიშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული ედება ბრალად, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

მიხეილ მგალობლიშვილს სასამართლომ 13 იანვარს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდა.

პირველი ლედის ძმა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას არ აღიარებს. მგალობლიშვილის ადვოკატი ზაზა მიქატაძემ ამბობს, რომ მის კლიენტს გამოძიება იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავება.

– იარაღები ეს არ იყო, ეს იყო ესკიზები, უვარგისი რაღაცა რკინის ნაწილები. მისი გადმოცემით, ეს არის სროლისთვის უვარგისი, ვიზუალურადაც რომ დაათვალიეროთ, მიხვდებით. 2 იარაღზეა საუბარი, – განაცხადა ზაზა მიქატაძემ.

დაცვის მხარე ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებას გეგმავს.

ადვოკატმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის შესახებ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

ზაზა მიქატაძემ თავისი კლიენტისთვის შეფარდებული პატიმრობის გირაოთი შეცვლა მოითხოვა.

# „ყაჩაღი სანტა კლაუსი“ დაიჭირეს

ბათუმში „იალჩინის“ ერთ-ერთ ფილიალზე 31 დეკემბრის 00:00 საათზე მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნილია. დაკავებულია „სანტა კლაუსი“, რომელმაც 8.820 ლარი გაიტაცა.

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ჯ.მ., ყაჩაღობის ბრალდებით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2016 წლის 31 დეკემბერს, ღამით, სანტა-კლაუსის ფორმაში გამოწყობილი ბრალდებული ბათუმში, სუპერმარკეტში მდებარე ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში შეიჭრა და სათამაშო იარაღის მუქარით 8.820 ლარი გაიტაცა.

სამართალდამცველებმა ჯ.მ. ბათუმში დააკავეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს.

ახალი წლის ღამეს ბათუმში სანტა კლაუსის ფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა მაღაზია დააყაჩაღა. დამნაშავემ ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე თურქული სუპერმარკეტის „იალჩინის“ კარზე ზუსტად 00:00 საათზე დააკაკუნა, როდესაც ახალი წლის დადგომას ფეიერვერკებით აღნიშნავდნენ.

# თბილისის ცენტრში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

## ის საავადმყოფოში გარდაიცვალა

13 იანვარს თბილისში, ცაბაძის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. დაშავებული ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკაში მიიყვანეს.

ექიმების ინფორმაციით, პაციენტს ორივე ქვედა კიდურის ცეცხლნასროლი ჭრილობა აღენიშნებოდა. ახალგაზრდას ოპერაცია ჩაუტარდა, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ის გუშინ, 15 იანვარს, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ადგილობრივების თქმით, დაჭრილი მამაკაცი შარტავას ქუჩის მცხოვრებია.

ცნობილია სავარაუდო ეჭვმიტანილი.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 118-ე განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

# მამუკა ტუსკაძე: „მობილურ ოპერატორებს მოსმენებზე ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***– მობილურმა ოპერატორმა რომ არ განაცხადოს, მოსმენებზე მომუშავე ჯგუფს არ ექნება საშუალება გაიგოს, რომ ფარული მოსმენა ხდება?***

– ვისზეც მიღებული იქნება გადაწყვეტილება, მას მოუსმენენ, მაგრამ, იმის გარდა, თუ აპარატურა არაოფიციალურად არის შემოტანილი და ვიღაცას უსმენენ, მოსმენებზე მომუშავე ჯგუფი ამას ვერ გაარკვევს. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტია, რომელიც უსმენს. ამ საქმეზე მომუშავე ჯგუფი იქ უნდა დატრენინგდეს. სტუდენტები უსმენენ ხოლმე. ეს მიუღებელია. მოსმენა გამიზნული უნდა იყოს უსაფრთხოებაზე. თუ არ არსებობს ტერორიზმის საფრთხე და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის არ არის საშიში, რატომ უნდა უსმენდნენ? თუ უბნის ინსპექტორია და ქურდული მენტალიტეტის მქონე ადამიანის მოსმენაზეა საუბარი, მოუსმინონ, ოღონდ მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით. ყველაფერი გონივრულ ეჭვს მიღმა უნდა იყოს.

***– ანუ მყარი მტკიცებულებების საფუძველზე?***

– დიახ, გონივრული ეჭვი უნდა გამოირიცხოს, მტკიცებულება თითქმის უტყუარი უნდა იყოს და აუცილებლად სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, მოუსმინონ თუ არა. თუ საქმე ეხება ტერორიზმს, სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ დავუცდით. შეიძლება, 15-20 წუთში იქნეს აღმოჩენილი ტერორისტი მისი საუბრების გაშიფვრით.

***– ხომ არ გაქვთ ინფორმაცია არაკანონიერი მოსმენების შესახებ ახლანდელი ხელისუფლების პირობებში?***

– არაკანონიერი მოსმენა მაშინ ხდება საჯარო, როცა არაკანონიერ ინფორმაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ავრცელებენ, როგორც, მაგალითად, სააკაშვილის დროს იყო. სააკაშვილის დროს ჯალათური რეჟიმი იყო და არაკანონიერად უსმენდნენ. შემდეგ იმ არაკანონიერ ინფორმაციას სასამართლოში ვერ იყენებდნენ, მაგრამ საზოგადოებრივ აზრის ქმნიდნენ. არაკანონიერი მოსმენებით ძირითადად საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის მანიპულირებენ.

ამ ხელისუფლების პირობებში ჯერჯერობით არაკანონიერი მოსმენა არ არსებობს, ანუ მანიპულირება აზრის ფორმირებისთვის არ ხდება. თუ რამე გავრცელდა ბოლო დროს, ყველა დადასტურებულად წინა ხელისუფლების გადაღებული და ჩაწერილია. ამ ხელისუფლების დროს ჩაწერილი არცერთი ხმოვანი ან ვიზუალური სახის ჩანაწერი არ არსებობს.

ლიბერალურ-დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში უკანონო მოსმენის ნაკლები საშიშროება არსებობს, მაგრამ ჩვენ პრევენცია გვინდა. 4-5 წლის წინ აზრის კონტროლი ხდებოდა. დღესაც დიდი ცდუნებაა იმისა, რომ პოლიტიკური ოპონენტების კონტროლისთვის აზრის პოლიცია შეიქმნას. აზრის პოლიცია სააკაშვილის დროს იყო.

# ნინო გვენეტაძე: „ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ მართლმსაჯულებას უნდა მივაღწიოთ“

– სასამართლოში მთავარი გამოწვევა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფაა.

ამის შესახებ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ მოსამართლეთა მე-19 კონფერენციის დაწყებამდე განაცხადა.

ნინო გვენეტაძის ინფორმაციით, მართლმსაჯულების სისტემაში ასევე გამოწვევად რჩება მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა, რომლებიც საქმეთა გაჭიანურების გარეშე, დროულ განხილვას უზრუნველყოფენ.

– რაც შეეხება იმ პრობლემებს, რომლებიც მუდმივად და ბუნებრივად ახლავს სამართალწარმოების პროცესებს, ეს იქნება, მაგრამ მათი ეფექტურად დაძლევის გზებზე მუშაობა 2017 წელსაც გაგრძელდება, – განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის კრიტიკას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ და სასამართლოში პოლიტიკურ გავლენაზე საუბრებს, გვენეტაძის თქმით, პრობლემატურ არასამთავრობო სექტორთან მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება.

– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომები ღია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და ასევე, ფართო საზოგადოებისთვის. ჩვენ მოვახერხეთ საბჭოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირების უზრუნველყოფა. მაშინ, როდესაც სხდომაზე დასწრების მსურველების რაოდენობა დიდია,

ვფიქრობ, 2016 წელს ყველაზე ღია და გამჭვირვალე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭო. შესაძლებელი იყო საკმაოდ კრიტიკული პოზიციების მოსმენა და კონსენსუსამდე მისვლა. ეს პროცესი, ბუნებრივია, გაგრძელდება, რაც ხელს შეუწყობს არასამთავრობო სექტორისა და ჩვენი პოზიციების დაახლოებას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, – განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

# პრეზიდენტის სიძე და მისი მეგობარი რესპუბლიკური საავადმყოფოდან გაწერეს

პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭური და მისი მეგობარი მიხეილ თათრიშვილი რესპუბლიკური საავადმყოფოდან უკვე გაწერეს.

ექიმების განმარტებით, შესაბამისი მკურნალობა უკვე ჩატარდა და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ გოგოჭურსა და მის მეგობარს რამდენიმე დღის წინ ბალანჩივაძის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობები მიაყენეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# გორში გურამ გოგიჩაიშვილი დემოკრატიული მოძრაობის ოფისთან მოკლეს

გორში გავლენიანი გოგიჩაიშვილების ოჯახის წევრი, ბიზნესმენ ბორია გოგიჩაიშვილის ძმა, გურამ გოგიჩაიშვილი, ნინო ბურჯანაძის პარტიის ოფისის ეზოში მოკლეს.

ნიუპოსტის კორესპონდენტის ინფორმაციით, მას თავს იმ დროს დაესხნენ, როდესაც გოგიჩაიშვილი პარტია დემოკრატიული მოძრაობის ოფისში შედიოდა.

„კვირის“ ინფორმაციით, გოგიჩაიშვილი ოფისში, სავარაუდოდ, ქუჩის მხრიდან შევიდა, მას თავდამსხმელი დაედევნა, რის შემდეგაც მამაკაცი შენობის შიდა ეზოსკენ გაიქცა, სადაც მკვლელობა მოხდა. შეიარაღებულმა პირმა მას ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

როგორც „კვირას“ პარტია დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს გორის ოფისის წარმომადგენელმა ვანო მაჭარაშვილმა განუცხადა, გარდაცვლილი ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრი არ იყო.

მისი თქმით, ის ოფისში ხშირად მიდიოდა.

გოგიჩაიშვილების ოჯახში ეს მკვლელობის მეორე შემთხვევაა. მათი ერთ-ერთი ძმა, ენგურ გოგიჩაიშვილი, რამდენიმე ხნის წინ რესტორანში მოკლეს.

შს სამინისტრო მომხდართან დაკავშირებით საქმეს 108-ე განზრახ მკვლელობის მუხლით იძიებს.

# დოლიძეზე საცხოვრებელ ბინაში გარდაცვლილი გოგონა იპოვეს

დოლიძის ქუჩაზე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში გარდაცვლილი გოგონა იპოვეს.

როგორც ინტერპრესნიუსს შსს-ში განუცხადეს, გარდაცვლილს ძალადობის კვალი არ აღენიშნება. ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა გოგონას გარდაცვალების მიზეზი.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით 1964 წელს დაბადებული მ.ს. თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი პისტოლეტი, „ეფ-1“-ის ტიპის მსხვრევადი ხელყუმბარა, „რგ-42“-ის ტიპის მსხვრევადი ხელყუმბარა, ამფეთქი ფალია და 20 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

# მოსამართლეების დისციპლინურ გადაცდომებს ახალი ინსტიტუტი შეამოწმებს

მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში ახალი ინსტიტუტი ამოქმედდება, რომელიც მოსამართლეების შესაძლო დისციპლინურ გადაცდომებს შეამოწმებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა ლევან თევზაძემ განუცხადა.

როგორც თევზაძემ აღნიშნა, ახალი ინსტიტუტი მოსამართლეებს მხოლოდ შეამოწმებს, დისციპლინურ გადაცდომებზე კი გადაწყვეტილებას ისევ საბჭო მიიღებს.

– მესამე ტალღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელიც სასამართლო სისტემისთვის ახალი იქნება. ეს ინსტიტუტი რომელიმე მოსამართლის მაკონტროლებელი კი არა, შესაძლო დისციპლინური გადაცდომის შემმოწმებელი იქნება, თუმცა საბოლოოდ აღნიშნულზე გადაწყვეტილებას მაინც იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიღებს.

ასევე შემოდის ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა, რომელიც გაეშვება საპილოტე რეჟიმში რუსთავის საქალაქო სასამართლოში, – აღნიშნა ლევან თევზაძემ.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტრამპი: „რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები არ გაუქმდება“

როგორც ცნობილია, კიბერშეტევების გამო ბარაქ ობამამ რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები შემოიღო. მანვე რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები 2018 წლის მარტამდე, ანუ კიდევ ერთი წლით გააგრძელა. ჟურნალისტების შეკითხვაზე, ამას როგორ აფასებთო, ტრამპმა მიუგო, რომ ეს აუცილებელი ნაბიჯია. ტრამპმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით ობამას მიერ შემოღებულ სანქციებს არ გააუქმებს. ამავე დროს, დაამატა, რომ ჯერჯერობით არ ნიშნავს არასოდეს.

– მსურს, ჯეიმს ბონდის სიტყვებით გიპასუხოთ: არასოდეს თქვა არასოდეს! – გაიცინა აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა.

ტრამპმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა იძაბება და კრიზისიდან გამოსვლის ყველაზე მარტივი საშუალება რუსეთთან საერთო ენის გამოძებნაა.

– თუკი პუტინი ტერორისტებთან ბრძოლაში დაგვეხმარება, ისმის კითხვა, რა აზრი აქვს ამ სანქციებს? – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა თქვა, რომ მზადაა, თავის რუს კოლეგას შეხვდეს. ტრამპის აზრით, უპრიანი იქნებოდა, თუკი შეხვედრა რეიკიავიკში შედგებოდა, მაგრამ რუსულმა მხარემ ეს არ ისურვა.

– შეხვედრაც გადაიდო და ეს ჩემი მიზეზით არ მომხდარა! მე დიალოგისთვის ვარ განწყობილი! – ამბობს ტრამპი.

ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა, რომ დიალოგი კაპიტულაციას არ ნიშნავს. არ მოხდება იმ ფუნდამენტური პრინციპების გადახედვა, რომლებიც ამერიკული სახელმწიფოს საფუძველია და რუსეთთან შეთანხმება სხვათა ინტერესების ხარჯზე არ შედგება.

– როგორც დონბასი, ისე ყირიმიც უკრაინის განუყოფელი ნაწილია. სანამ ამ ტერიტორიების დეოკუპაცია არ მოხდება, სანქციებიც ვერ გაუქმდება! – ამბობს ტრამპი.

# ჩავუშოღლუ: „ამერიკის გარეშე სირიაში მშვიდობა ვერ დამყარდება“

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ აშშ ასტანის მოლაპარაკებაზე აუცილებლად უნდა მიიწვიონ. ასტანაში რუსეთის, ირანის, თურქეთისა და სირიის წარმომადგენლების შეხვედრაა დაგეგმილი. მოლაპარაკებების მთავარი თემა სირიაში მშვიდობის აღდგენაა.

– ამერიკის გარეშე სირიაში მშვიდობა ვერ დაისადგურებს. ასტანის შეხვედრაზეც აშშ-ის წარმომადგენლები აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ! – თქვა ჩავუშოღლუმ.

# რუსმა ჰაკერებმა გერმანიის პარლამენტის საიტზე შეტევა განახორციელეს

გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის (ბნდ) ცნობით, რუსეთი გერმანიაში ვითარების დესტაბილიზაციას ცდილობს. საუბარია კიბერშეტევებზე, რომლებიც რუსმა ჰაკერებმა გერმანიის პარლამენტის საიტზე განახორციელეს.

ბნდ-ს ინფორმაციით, რუსები ინტენსიურად აგროვებენ კომპრომატებს როგორც კანცლერ მერკელზე, ასევე მისი გუნდის წევრებზეც. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, რუსეთი სკანდალების აგორებას შეეცდება და ეს კომპრომატები მედიაში მოხვდება.

– რუსეთი ჩვენს არჩევნებში ჩარევისა და ევროსკეპტიკოსების გამარჯვების უზრუნველყოფისთვის ემზადება, – აცხადებს ფედერალური სადაზვერვო სამსახური.

# პოლონელები ამერიკელ ჯარისკაცებს ზეიმით შეხვდნენ

პოლონეთში ამერიკელებმა დამატებითი სამხედრო კონტინგენტი გადაისროლეს. მათი ამოცანა რუსეთის შესაძლო აგრესიის შემთხვევაში ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაა.

ქალაქ ჟეტინში ამერიკელ ჯარისკაცებს საზეიმო დახვედრა მოუწყვეს.

ცერემონიას როგორც ქალაქის მოსახლეობა, აგრეთვე პოლონეთის პრემიერი ბეატა შიდლო და თავდაცვის მინისტრი მაცერევიჩი დაესწრნენ. საზეიმო მიტინგზე შიდლომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა იძაბება, რუსეთი განიცდის დანაკარგებს დონბასში და აგრესიული და არაპროგნოზირებადი ხდება.

– იქმნება მოჯადოებულ წრე: რუსებმა რომ გაიმარჯვონ, ვარშავისკენ წამოვლენ; წარუმატებლობის შემთხვევაშიც, მათი მხრივ, აგრესიის საფრთხე დიდია, – თქვა შიდლომ.

პოლონეთის პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ რუსული თვითმფრინავების მიერ პოლონეთის დაბომბვის საფრთხე დიდია. არც ის არის გამორიცხული, ბელარუსის ტერიტორიიდან, სადაც რუსული ბაზებია განთავსებული, პოლონეთს დაარტყან.

– კრემლი გააკეთებს იმას, რასაც საჭიროდ ჩათვლის! ლუკაშენკოს, უბრალოდ, არავინ არაფერს შეეკითხება, – ამბობს პოლონეთის პრემიერი.

შიდლომ ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ის მხარდაჭერას პოლონეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

– ამერიკელი ჯარისკაცების შემოსვლა იმის ნიშანია, რომ დამარცხებული, გაბოროტებული რუსეთის პირისპირ მარტო არ დავრჩით! დიდი მადლობა ამერიკის პრეზიდენტს, მთავრობასა და, საერთოდ, ამერიკელ ხალხს, – თქვა შიდლომ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ფრანსუა ფიიონი საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატი გახდა

ფრანგი კონსერვატორების ლიდერი ფრანსუა ფიიონი პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა.

ფიიონმა აღნიშნა, რომ ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რათა მარინ ლე პენი საფრანგეთის პრეზიდენტი არ გახდეს.

– თუკი მადმუაზელ ლე პენმა გაიმარჯვა, ეს საფრანგეთისთვის კატასტროფა იქნება, – ამბობს ფიიონი.

# ბრძოლები მოსულთან გრძელდება

ერაყის არმიამ მოსულის აღმოსავლეთი ნაწილი დაიკავა. ბრძოლები მიმდინარეობს უნივერსიტეტთან. ერაყელი სამხედროები მოსულის აღმოსავლეთ ნაწილში გამაგრდნენ.

მზადდება ოპერაცია ისლამისტი ტერორისტების მთელი მოსულიდან განდევნის მიზნით.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა კარტერმა მოსულის ოპერაციას წარმატებული უწოდა. ერაყის არმიის დანაკარგები მინიმალურია, ექსტრემისტების რიგებში კი დიდი მსხვერპლია.

– ისლამური სახელმწიფო მალე მთლიანად განადგურებული იქნება, – ამბობს კარტერი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ბრიტანელი ტრანსგენდერი ქვეყნის პირველი ფეხმძიმე მამაკაცი გახდა

ბრიტანეთის ქვეშევრდომმა ჰაიდენ კროსმა, რომელმაც ქალის სქესი მამაკაცის სქესით შეიცვალა, ფეხმძიმობის თაობაზე განცხადება გააკეთა.

ქალაქ გლოსტერის 20 წლის მცხოვრებმა განაცხადა, რომ ქვეყანაში პირველი მამაკაცია, რომელიც ფეხმძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამასთან, მან დააზუსტა, რომ ის ფიზიოლოგიურად ჯერ ისევ ქალად რჩება და სწორედ ამან განაპირობა მისი დაფეხმძიმება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰაიდენი ოთხი თვის ფეხმძიმეა. ის მარტოხელა მშობელი გახდება, ვინაიდან ბავშვი დონორის სპერმით ჩაისახა. შესაფერისი კანდიდატი კროსმა ფეისბუქის დახმარებით შეარჩია.

ბრიტანელმა სქესის შეცვლა 17 წლის ასაკში გადაწყვიტა. სამი წლის განმავლობაში ის სპეციალურ ჰორმონალურ წამლებს იღებდა და აიღო პასპორტი, რომელშიც მისი ახალი გენდერული კუთვნილებაა მითითებული, თუმცა შემდეგ კროსმა სქესის შეცვლა დაამუხრუჭა, ვინაიდან იგრძნო, რომ ბავშვის გაჩენა სურდა.

– ფეხმძიმობა – ეს მეტად ქალურია და ეწინააღმდეგება იმას, თუ საკუთარი სხეულის როგორი აღქმა მაქვს, მაგრამ ახლა მსურდა ბავშვის გაჩენა, რათა სქესის შეცვლის პროცესი ახალგაზრდულ ასაკში დასრულდეს, – განაცხადა ბრიტანელმა ტრანსგენდერმა.

მისი თქმით, მშობიარობის შემდეგ ის სქესის შეცვლის პროცესს დაასრულებს, სხეულიდან მოიშორებს სარძევე ჯირკვლებსა და კვერცხუჯრედს. მან ისიც განაცხადა, რომ არ აპირებს, თავის მომავალ შვილს დაუმალოს, რომ ადრე ქალი იყო.

# ჩინეთში 700-კილოგრამიანი ღორი აღმოაჩინეს

ჩინეთის პროვინცია ხენანში ღორმა, რომელიც 750 კილოგრამს იწონის, ქვეყნის ყველაზე დიდი ღორის ტიტული მოიგო.

ცხოველის სიგრძე 2,1 მეტრს აღწევს, ხოლო სიმაღლე – 1,5 მეტრს. ადგილობრივი პრესის ცნობით, კონკურსი ადგილობრივმა ფერმერთა ასოციაციამ ჩაატარა. გამარჯვებული ცხოველის პატრონი ჩჟანი ღორს სამი წელია უვლის. მისი თქმით, ღორი ბევრს ჭამს და თითქმის ძროხის ზომას მიაღწია.

იუთუბიზე გამოქვეყნდა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ჩანს, თუ როგორ აზის ზურგზე ღორს ქალი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განცხადებები

## მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# მგზავრებმა რუსთავს 17 ქულა ამოუქაჩა

## ქორქია-საკანდელიძის მემორიალი საინტერესოდ დაიწყო

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალური ტურნირი ამ ლეგენდარული კალათბურთელების მშობლიურ ქალაქ ქუთაისში დაიწყო.

ოლიმპიური ჩემპიონების სახელობის ტურნირი პირველად 2006 წელს ჩატარდა და წელს ქუთაისი რიგით მე-12 გათამაშებას მასპინძლობს. პირველი ტურის მატჩებში იყო ბრძოლაც, სასწაულად შემოტრიალებული მატჩიც და იოლი გამარჯვებებიც.

**რუსთავი-მგზავრები 101:104 (ოტ)**
**(20:23, 22:22, 28:10, 21:36, 10:13)**

ეს გახლდათ ისტორიაში შესატანი მატჩი, რადგან იშვიათად თუ მომხდარა იმხელა ჩამორჩენის გაბათილება, რაც მგზავრებმა მოახერხა. შეხვედრის დასრულებამდე 4 წუთზე ნაკლები იყო დარჩენილი და რუსთაველები 87:70 იგებდნენ. მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, თუმცა დარჩენილ დროში თბილისურმა გუნდმა თითქმის შეუძლებელი შეძლო და მატჩის ბოლოსწინა წამზე ანგარიში გაათანაბრა.

კულმინაცია კი ბოლო წამები იყო – რუსთავი 35 წამით ადრე 11 ქულით იგებდა, მაგრამ იმდენი „მოახერხა“, რომ თამაში ოვერტაიმში გადავიდა.

შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა, სადაც მგზავრებმა იმარჯვეს და შეხვედრა – 104:101 მოიგეს.

გამარჯვებულებს 34 ქულით კენი ალენმა ულიდერა. 24 ქულა მოაგროვა ოთარ ფხაკაძემ, ხოლო კაშიმ რენსომის ანგარიშზე 21 ქულა დაგროვდა.

რუსთავში 31 ქულით რეზო ჩაჩანიძე გამოირჩა, ტომი სპანოლომ კი ქვემოქართლელებს 18 ქულა და 11 მოხსნა შესძინა.

**წყალტუბო-ქუთაისი 65:84**
**(11:27, 24:20, 19:19, 11:18)**

სუპერლიგის ერთ-ერთი ლიდერისა და ა ლიგის წარმომადგენლის მატჩი მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. თუმცა, აღსანიშნავია ზურაბ ტომარაძის გაწვრთნილი გუნდის შეუპოვარი თამაში, რომელმაც მესამე პერიოდში ჩამორჩენა 7 ქულამდეც შეამცირა, თუმცა გაცილებით გამოცდილმა ქუთაისელებმა ბოლო პერიოდში იძალეს და საბოლოოდ იოლად მოიგეს.

კოტე ტუღუშის გუნდმა მძლავრად ჩაატარა შეხვედრის პირველი და ბოლო პერიოდები, რისი წყალობითაც მემორიალზე პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ქუთაისელთა გუნდში 19 ქულითა და 12 მოხსნით ბექა ბექაური გამოირჩა, ხოლო გიორგი ცინცაძის ანგარიშზე 11 ქულა და 14 პასი დაგროვდა.

წყალტუბოელთაგან ლეგიონერები გამოირჩნენ: ბრაიან ბლექმონმა 23 ქულა მიითვალა, დმიტრი სვირიდოვის ანგარიშზე კი 16 ქულა და 15 მოხსნა დაგროვდა.

**არენა-კაკტუსი 74:75**
**(15:17, 23:18, 19:16, 17:24)**

ამ მატჩშიც სუპერლიგელი და ქვედალიგელი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. არენა საკმაოდ საინტერესო გუნდია. ის რიგიანი ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული, რომლებსაც ქართველი ახალგაზრდებიც ეხმარებიან. არენელებმა შარშან ა ლიგიდან სუპერლიგაში გადასულ კაკტუსს თანაბარი ბრძოლა გაუმართეს და მხოლოდ ბოლო წამებზე დათმეს შეხვედრა.

არენა უფრო დიდხანს იყო წინ, ვიდრე კაკტუსი, მაგრამ დასკვნითი წუთები მეტი გამოცდილების მქონე სუპერლიგის გუნდმა უფრო მობილიზებით ჩაატარა და საბოლოოდ 75:74 გაიმარჯვა.

15 ქულით ბომბარდირი ბექა ჩიკვილაძე გახდა, 14 ქულა მოაგროვა ტაილერ უაიტმა, ტრენტონ ბრიჯმენის ანგარიშზე კი 12 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა.

არენელთაგან 27 ქულითა და 14 მოხსნით პიტერ ალექსისი გამოირჩა, როდნერიუს ლუისმა კი შეხვედრა 18 ქულით დაასრულა. ორმაგ დუბლს უწია სოხუმიდან არენაში გადასულმა ალექსანდრე რიხლიუკმა – 15 ქულა, 16 მოხსნა.

**სოხუმი-სეუ 89:53**
**(22:12, 25:10, 17:16, 25:15)**

პირველი ტურის ბოლო მატჩი დაძაბული ვერ გამოდგა – სოხუმმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ა ლიგის სეუ-რინოსთან. ამ უკანასკნელს 3 ლეგიონერი ჰყავს და რამდენიმე სახელიანი ქართველი კალათბურთელიც, მაგრამ შეთამაშება აკლია და გაცილებით მეტი სათამაშო გამოცდილების მქონე სოხუმთან 53:89 წააგო.

გამარჯვებულთაგან 21 ქულით საუკეთესო შედეგი დავით ბარბაქაძემ დააფიქსირა. 17-17 ქულა გიორგი ჯგერენაიასა და დუეინ ლათანის ანგარიშზე დაგროვდა.

სეუ-რინოში 12 ქულით საუკეთესო შედეგი დავით მაისურაძეს ჰქონდა.

## ჯილაური მაკედონიაში ითამაშებს, გრიგალავა – არსენალში

კიდევ სამმა ქართველმა ფეხბურთელმა შეიცვალა კლუბი.

საქართველოს ნაკრების 24 წლის ნახევარმცველი ჯაბა ჯილაური, რომელიც თბილისის დინამოში თამაშობდა, კარიერას მაკედონიის ჩემპიონ სკოპიეს ვარდარში გააგრძელებს. კონტრაქტი ერთწლიანია, მაგრამ 2 წლით გახანგრძლივების შესაძლებლობით.

ვარდარი მაკედონიის ჩემპიონატში გამართული 18 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს 41 ქულით ლიდერობს და 4 ქულით უსწრებს მეორეადგილოსან შკენდიას. მიუხედავად ამისა, ვერ გეტყვით, რამდენად წინ გადადგმული ნაბიჯია კარიერის მაკედონიის ჩემპიონატში გაგრძელება. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

**ჯაბა ჯილაური:**

– მაკედონიაში პირველად ვარ და დადებითი შთაბეჭდილება შემექმნა. კლუბის შესახებ უკვე ბევრი რამ ვიცი, სასიამოვნოა, რომ აქ კარგი ხალხი დამხვდა. გპირდებით, მაქსიმუმს გავაკეთებ ვარდარის წარმატებისთვის. ვიცი, რომ ამბიციურ კლუბში მოვედი, რომელიც ყოველთვის გამარჯვებისთვის იბრძვის. იმედი მაქვს, რომ ვარდართან ერთად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვითამაშებ. გუნდში ჩემი ძველი მეგობარი, დარკო გლიშიჩი დამხვდა, რომელთან ერთადაც თბილისის დინამოში ვთამაშობდი. ასევე ვიცნობ ოვანეს ამბარცუმიანს.

თბილისის ლოკომოტივის შემტევი ლუკა ზარანდია კი პოლონეთში ითამაშებს. ლუკამ პოლონურ არკასთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს მეორე ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც კარიერის პოლონეთში გაგრძელება გადაწყვიტა – გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ პოლონურ პოგონთან კონტრაქტი გიორგი ცინცაძემ გააფორმა.

– ლუკა ზარანდია ის ფეხბურთელია, რომელსაც ვაკვირდებოდით. მას აქვს უდიდესი პოტენციალი და დარწმუნებული ვარ, საგაზაფხულო ეტაპზე იგი ამას გამოავლენს, – წერია არკას ვებგვერდზე.

ჩვენ კი გეტყვით, რომ არკა პოლონეთის ექსტრაკლასაში 26 ქულით მე-8 ადგილზეა.

გია გრიგალავა რუსულ პრემიერლიგას უბრუნდება და კარიერას ტულის არსენალში გააგრძელებს.

27 წლის მცველმა კვიპროსული ეთნიკოსი დატოვა და არსენალთან კონტრაქტი 1,5+1 სისტემით გააფორმა. გრიგალავას ახალი გუნდი რუსულ პრემიერლიგაში 12 ქულით მე-15 პოზიციაზეა.

**გია გრიგალავა:**

– არსენალი დეკემბერში დამიკავშირდა. წინადადება მაწყობდა. კონტრაქტს ხელი მოვაწერეთ. ასე რომ, სამუშაოდ მზად ვარ. ეთნიკოსი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დავტოვე და, მადლობა მათ, რომ წასვლაში ხელი არ შემიშალეს.

## თორნიკე ოქრიაშვილი: „საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელობა მოტივაციას მმატებს“

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

– შეიძლება, ასეც ითქვას.

***– რას ნიშნავს შენთვის ეს ჯილდო?***

– უდიდეს პასუხისმგებლობას. ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს. ამ აღიარებას წინა წლებში ხომ უდიდესი ოსტატები იღებდნენ. თუმცა, კარგად მესმის, რომ ახლა უფრო მეტი მომეთხოვება და აუცილებლად მომიწევს საკუთარი თამაშით იმის დამტკიცება, რომ ეს ტიტული შემთხვევით არ მიმიღია.

***– წარმატება როგორ აღნიშნე?***

– მოკრძალებულად, ვიწრო ოჯახურ წრეში. უახლოესი მეგობრებიც კი არ ყოფილან – მხოლოდ ოქრიაშვილების ოჯახი, დედა, მამა, ცოლი, შვილი, ძმა და მისი მეუღლე.

***– ალბათ, უამრავი მილოცვა მიიღე.***

– ძალიან. ტელეფონი არ გაჩერებულა!

***– მოულოდნელი მილოცვაც იყო?***

– დიახ. თავიდან ვერც მივხვდი, ვინ რეკავდა. აღმოჩნდა ქართული ოჯახი, რომელიც აშშ-ში ათწლეულების წინ გადავიდა საცხოვრებლად და ამჟამად იქ რესტორნების ქსელს ფლობს. მათ ძალიან უყვართ ფეხბურთი და გულშემატკივრობენ საქართველოს ნაკრებს. არ ვიცი, საიდან გაიგეს ჩემი ტელეფონის ნომერი, მაგრამ ძალიან გულთბილად კი მომილოცეს. მითხრეს, რომ სიხარულით მიმასპინძლებდნენ ამერიკაში და ასევე დამპირდნენ, რომ ზაფხულში საქართველოში ჩამოვლენ და დამასაჩუქრებენ. რითი? ეს ჯერ არ ვიცი. არ მიკითხავს. ესეც იყოს კიდევ ერთი სიურპრიზი ჩემთვის.

***– შვებულება სად გაატარე?***

– საქართველოში. ოჯახთან ერთად ბაკურიანსა და გუდაურში ვიყავით, თხილამურებით ვისრიალეთ. იქ საოცარი სილამაზე, სუფთა ჰაერია.

***– ახალ წელს სად შეხვდი?***

– შინ, ოჯახთან ერთად. ეს ჩვენი ტრადიციაა. ახალი წლის დადგომის შემდეგ მალევე სასტუმროს რესტორანში გადავინაცვლეთ, სადაც საქართველოს საუკეთესო მომღერლებმა დიდი საკონცერტო პროგრამა წარმოადგინეს.

***– ცოტა ხნის წინ ფიფამ გამოაცხადა, რომ 2026 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე 48 გუნდი ითამაშებს. როგორი დამოკიდებულება გაქვს ამ გადაწყვეტილების მიმართ?***

– ორივე ხელით მხარს ვუჭერ! ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს კარგი შესაძლებლობაა, გააღწიოს პლანეტის უმთავრეს ტურნირზე. სადღეისოდ ობიექტურად გვიჭირს გრანდებთან ჯგუფში პირველობისთვის ჭიდილი, კვოტის გაზრდასთან ერთად კი ჩვენი შანსებიც იზრდება.

***– ზამთრის შეკრების პირველი დღეების შემდეგ თავს როგორ გრძნობ?***

– შვებულების წინ ფეხბურთელებს დავალებები მოგვცეს, რომლებიც ბოლო კვირაში უნდა შეგვესრულებინა. ეს იმისთვის, რომ შემდეგ იოლად შევწყობოდით საწვრთნელ პროცესს. ოღონდ, ის დავალება ახლოსაც ვერ მივა იმ დატვირთვებთან, რომელთაც აქ, შეკრებაზე ვიღებთ. არ დავმალავ, ძალიან მძიმეა, მაგრამ პირველი კვირა ყოველთვის ყველაზე რთულია. შემდეგ ნელ-ნელა შემსუბუქდება. ახლა რაღაც ტესტი დაიგეგმა სირბილში. ადრე ასეთი არასდროს გამივლია. ის ბიჭები კი, რომლებსაც უკვე აქვთ ასე ნარბენი, ამბობენ, რომ მეექვსე წუთიდან „კვდები“.

***– აბუ-დაბიში ცოლ-შვილთან ერთად ხარ. შეკრებაზე ფეხბურთელებს ოჯახებით წამოსვლის ნება რომ დაგრთეს, ეს მუშაობაში გეხმარებათ?***

– რა თქმა უნდა და თან როგორ! მეორე ვარჯიშის შემდეგ თითქოს ძალა საერთოდ აღარ გრჩება, მაგრამ როდესაც გახსენდება, რომ ნომერში ცოლ-შვილი გელოდება, სული გითბება. ყველაზე ახლობელ ადამიანებთან დალაპარაკებისთანავე ენერგია გემატება. ოჯახი საუკეთესო საშუალებაა ძალების აღდგენისთვის. ჩემს კარიერაში პირველად ვარ შეკრებაზე ოჯახთან ერთად და მინდა ამ გადაწყვეტილებისთვის მადლობა გადავუხადო სამწვრთნელო შტაბსა და კლუბის ხელმძღვანელობას.

***– ეს შენთვის პირველი შეკრებაა კრასნოდარში გადმოსვლის შემდეგ.***

– გასული წლის სექტემბერში ისე მოვედი, შეკრება არ გამივლია. შესაბამისად, არც ფიზიკურად ვიყავი საუკეთესო ფორმაში. პრაქტიკულად, კვირაში 2 მატჩის ჩატარება გვიწევდა, ვარჯიშისთვის კი დრო თითქმის არ რჩებოდა. ამის გამო ვერაფრით ვახერხებდი ოპტიმალურ ფორმაში შესვლას და ვერც ჩემს საუკეთესო თამაშს ვაჩვენებდი.

ახლა კი მაქვს საშუალება, სრულფასოვანი შეკრება გავიარო, კარგ ფიზიკურ კონდიციებში ჩავდგე და ვაჩვენო ის, რაც შემიძლია. შევეცდები, მაქსიმალურად გამოვიყენო ეს შანსი, გამოვიჩინო თავი და შემადგენლობაში ადგილი მოვიპოვო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**14 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აფრიკის ეთა თასი**

გაბონი-გვინეა ბისაუ ..... 1:1
ბურკინა ფასო-კამერუნი ..... 1:1

**ამხანაგური მატჩი**

ისლანდია-ჩილე ..... 0:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი ..... 4:0
ბარნლი-საუთჰემპტონი ..... 1:0
ჰალი-ბორნმუთი ..... 3:1
სანდერლენდი-სტოკი ..... 1:3
სუონსი-არსენალი ..... 0:4
უოტფორდი-მიდლსბრო ..... 0:0
ვესტ ჰემი-კრ.პალასი ..... 3:0
ლესტერი-ჩელსი ..... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 21 | 17 | 1 | 3 | 45-15 | 52 |
| 2.ტოტენჰემი | 21 | 13 | 6 | 2 | 43-14 | 45 |
| 3.არსენალი | 21 | 13 | 5 | 3 | 48-22 | 44 |
| 4.ლივერპული | 20 | 13 | 5 | 2 | 48-23 | 44 |
| 5.სიტი | 20 | 13 | 3 | 4 | 41-22 | 42 |
| 6.მანჩესტერი | 20 | 11 | 6 | 3 | 31-19 | 39 |
| 7.ევერტონი | 20 | 8 | 6 | 6 | 28-23 | 30 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 21 | 8 | 5 | 8 | 28-28 | 29 |
| 9.სტოკი | 21 | 7 | 6 | 8 | 27-33 | 27 |
| 10.ბარნლი | 21 | 8 | 2 | 11 | 23-31 | 26 |
| 11.ბორნმუთი | 21 | 7 | 4 | 10 | 30-37 | 25 |
| 12.ვესტ ჰემი | 21 | 7 | 4 | 10 | 26-35 | 25 |
| 13.საუთჰემპტონი | 21 | 6 | 6 | 9 | 19-26 | 24 |
| 14.უოტფორდი | 21 | 6 | 5 | 10 | 23-36 | 23 |
| 15.ლესტერი | 21 | 5 | 6 | 10 | 24-34 | 21 |
| 16.მიდლსბრო | 21 | 4 | 8 | 9 | 17-22 | 20 |
| 17.კრ.პალასი | 21 | 4 | 4 | 13 | 30-40 | 16 |
| 18.ჰალი | 21 | 4 | 4 | 13 | 20-45 | 16 |
| 19.სანდერლენდი | 21 | 4 | 3 | 14 | 20-40 | 15 |
| 20.სუონსი | 21 | 4 | 3 | 14 | 23-49 | 15 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრისტოლი-კარდიფი ..... 2:3
ბირმინგემი-ნოტინგემი ..... 0:0
ბარტონი-უიგანი ..... 0:2
ფულემი-ბარნსლი ..... 2:0
პრესტონი-ბრაიტონი ..... 2:0
როტერჰემი-ნორვიჩი ..... 2:1
უენსდი-ჰადერსფილდი ..... 2:0
ბრენტფორდი-ნიუკასლი ..... 1:2
იფსვიჩი-ბლექბერნი ..... 3:2
ვულვზი-ასტონ ვილა ..... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლეგანესი-ბილბაო ..... 0:0
ბარსელონა-ლას პალმასი ..... 5:0
ატლეტიკო-ბეტისი ..... 1:0
დეპორტივო-ვილიარეალი ..... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 16 | 12 | 4 | 0 | 45-14 | 40 |
| 2.ბარსელონა | 18 | 11 | 5 | 2 | 47-17 | 38 |
| 3.სევილია | 17 | 11 | 3 | 3 | 36-21 | 36 |
| 4.ატლეტიკო | 18 | 10 | 4 | 4 | 32-14 | 34 |
| 5.ვილიარეალი | 18 | 8 | 7 | 3 | 26-12 | 31 |
| 6.სოსიედადი | 17 | 9 | 2 | 6 | 28-25 | 29 |
| 7.ბილბაო | 18 | 8 | 4 | 6 | 22-19 | 28 |
| 8.ლას პალმასი | 18 | 6 | 6 | 6 | 27-29 | 24 |
| 9.სელტა | 17 | 7 | 3 | 7 | 28-32 | 24 |
| 10.ეიბარი | 17 | 6 | 5 | 6 | 22-22 | 23 |
| 11.ესპანიოლი | 17 | 5 | 8 | 4 | 21-23 | 23 |
| 12.ალავესი | 17 | 5 | 7 | 5 | 15-17 | 22 |
| 13.მალაგა | 17 | 5 | 6 | 6 | 26-29 | 21 |
| 14.ბეტისი | 18 | 6 | 3 | 9 | 20-30 | 21 |
| 15.დეპორტივო | 18 | 4 | 6 | 8 | 23-28 | 18 |
| 16.ლეგანესი | 18 | 4 | 5 | 9 | 13-29 | 17 |
| 17.ვალენსია | 16 | 3 | 4 | 9 | 24-32 | 13 |
| 18.ხიხონი | 17 | 3 | 3 | 11 | 17-34 | 12 |
| 19.გრანადა | 17 | 1 | 6 | 10 | 14-38 | 9 |
| 20.ოსასუნა | 17 | 1 | 5 | 11 | 16-37 | 8 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რაიო-სევილია ბ ..... 1:1
ოვიედო-ელჩე ..... 2:1
მურსია-ხიმნასტიკი ..... 1:1
მირანდესი-ნუმანსია ..... 0:3
ტენერიფე-სარაგოსა ..... 1:0

**იტალია. სერია ა**

კროტონე-ბოლონია ..... 0:1
ინტერი-კიევო ..... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 18 | 15 | 0 | 3 | 39-14 | 45 |
| 2.რომა | 19 | 13 | 2 | 4 | 40-18 | 41 |
| 3.ნაპოლი | 19 | 11 | 5 | 3 | 42-22 | 38 |
| 4.ლაციო | 19 | 11 | 4 | 4 | 33-21 | 37 |
| 5.მილანი | 18 | 11 | 3 | 4 | 28-20 | 36 |
| 6.ინტერი | 20 | 11 | 3 | 6 | 33-23 | 36 |
| 7.ატალანტა | 19 | 11 | 2 | 6 | 31-22 | 35 |
| 8.ტორინო | 19 | 8 | 5 | 6 | 36-27 | 29 |
| 9.ფიორენტინა | 18 | 7 | 6 | 5 | 28-24 | 27 |
| 10.უდინეზე | 19 | 7 | 4 | 8 | 25-26 | 25 |
| 11.კიევო | 20 | 7 | 4 | 9 | 21-27 | 25 |
| 12.ჯენოა | 19 | 6 | 5 | 8 | 21-23 | 23 |
| 13.სამპდორია | 19 | 6 | 5 | 8 | 22-26 | 23 |
| 14.ბოლონია | 19 | 6 | 5 | 8 | 18-25 | 23 |
| 15.კალიარი | 19 | 7 | 2 | 10 | 27-43 | 23 |
| 16.სასუოლო | 19 | 5 | 3 | 11 | 24-33 | 18 |
| 17.ემპოლი | 19 | 4 | 5 | 10 | 11-26 | 17 |
| 18.პალერმო | 19 | 2 | 4 | 13 | 16-36 | 10 |
| 19.პესკარა | 18 | 1 | 6 | 11 | 14-33 | 9 |
| 20.კროტონე | 19 | 2 | 3 | 14 | 14-34 | 9 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-პსჟ ..... 0:1
ნანსი-ბასტია ..... 1:0
ლორიანი-გენგამი ..... 3:1
მონპელიე-დიჟონი ..... 1:1
ტულუზა-ნანტი ..... 0:1
ანჟე-ბორდო ..... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 19 | 13 | 5 | 1 | 34-13 | 44 |
| 2.მონაკო | 19 | 13 | 3 | 3 | 56-20 | 42 |
| 3.პსჟ | 20 | 13 | 3 | 4 | 39-15 | 42 |
| 4.ლიონი | 18 | 11 | 1 | 6 | 34-19 | 34 |
| 5.გენგამი | 20 | 8 | 6 | 6 | 26-22 | 30 |
| 6.მარსელი | 19 | 8 | 6 | 5 | 22-19 | 30 |
| 7.რენი | 20 | 8 | 4 | 8 | 20-24 | 28 |
| 8.სტ.ეტიენი | 20 | 6 | 9 | 5 | 19-17 | 27 |
| 9.ტულუზა | 20 | 7 | 5 | 8 | 22-22 | 26 |
| 10.ბორდო | 20 | 6 | 8 | 6 | 21-27 | 26 |
| 11.ნანსი | 20 | 6 | 6 | 8 | 16-23 | 24 |
| 12.მონპელიე | 20 | 5 | 8 | 7 | 29-32 | 23 |
| 13.ლილი | 20 | 6 | 4 | 10 | 19-26 | 22 |
| 14.ნანტი | 19 | 6 | 4 | 9 | 13-26 | 22 |
| 15.დიჟონი | 20 | 4 | 8 | 8 | 27-30 | 20 |
| 16.ბასტია | 20 | 5 | 5 | 10 | 17-24 | 20 |
| 17.ანჟე | 20 | 5 | 5 | 10 | 16-25 | 20 |
| 18.კაენი | 18 | 5 | 3 | 10 | 20-32 | 18 |
| 19.ლორიანი | 20 | 5 | 3 | 12 | 23-39 | 18 |
| 20.მეცი | 18 | 5 | 4 | 9 | 18-36 | 17 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ამიენი-სტრასბურგი ..... 4:3

**ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი**

ჰერენვენი-დენ ჰააგი ..... 2:0
პსვ-ეინდჰოვენი ..... 2:0
ერაკლესი-გრონინგენი ..... 1:4
სპარტა-უტრეხტი ..... 1:2

**ჰოლანდია. პირველი ლიგა**

ბენფიკა-ბოავიშტა ..... 3:3
სეტუბალი-ნასიონალი ..... 1:0
შავიში-სპორტინგი ..... 2:2
ფეირენშე-გიმარაეში ..... 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-ლევადიაკოსი ..... 2:0
პლატანიასი-ოლიმპიაკოსი ..... 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-რიზე ..... 2:3
ქარაბუქი-აკჰისარი ..... 1:0
ბაშსაქშეჰირი-ქაისერი ..... 5:0
ქონია-გალათასარაი ..... 0:1

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# რა უნდა ვიცოდეთ ონკოლოგიაზე

ეკა ირემაშვილი

ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი ონკოლოგიის დარგში, მედიცინის დოქტორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თოდუას კლინიკის ქირურგი-ონკოლოგი ილია გოცაძე ონკოლოგიურ დაავადებებზე საუბრობს და მოსახლეობას საჭირო ინფორმაციასა და რჩევებს აძლევს.

**ილია გოცაძე:**

– სიმსივნე არის რთული ბიოლოგიური პროცესი, რომელსაც აქვს თავისი განვითარების რთული მექანიზმი. ძირითადად ის ატიპური (გადაგვარებული) უჯრედების უკონტროლო ზრდითა და გამრავლებით ხასიათდება. დროთა განმავლობაში ასეთი „ცუდი“ უჯრედების რაოდენობა იზრდება და ეს პროცესი კარგავს კონტროლს ორგანიზმის მხრიდან. ასეთ სიმსივნეს შეუძლია შეიჭრას, დააზიანოს და დაარღვიოს ახლომდებარე ქსოვილები და გავრცელდეს სხეულის სხვა ორგანოებზე.

ონკოლოგიის ზოგიერთ მიმართულებაში ჩვენ ვხედავთ შთამბეჭდავ პროგრესს. მიუხედავად ამისა, ონკოლოგია კვლავ რჩება მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემად და, ყველა ამ მიღწევის მიუხედავად, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ კმაყოფილი მკურნალობის შორეული შედეგებით.

***– რისგან შეიძლება წარმოიქმნას სიმსივნე?***

– სამწუხაროდ, სიმსივნე შეიძლება წარმოიქმნას ორგანიზმის ნებისმიერი უჯრედიდან. ჩვენს ორგანიზმში მუდმივად მიმდინარეობს უჯრედების ბუნებრივი განახლების პროცესი, რაზეც იმუნური სისტემა და სხვადასხვა ბიოლოგიური მექანიზმია პასუხისმგებელი, ანუ ბუნების მიერ შექმნილია უჯრედის გარდაქმნისა და სიმსივნური პროცესის პროფილაქტიკის ბევრი მექანიზმი.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიუხედავად ასეთი დამცველობითი ფუნქციისა, მაინც მოხდა ავთვისებიანი ტრანსფორმაცია, ორგანიზმს ასევე გააჩნია ამ უჯრედების განადგურების შესაძლებლობა. მაშინ, თუ ამდენი დაცვითი მექანიზმია, რატომ ჩნდება სიმსივნე მაინც?

არსებობს ამის ბევრი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი. ზოგი ადამიანზეა დამოკიდებული, ზოგ შემთხვევაში კი სიმსივნე ყალიბდება ადამიანისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შესაბამისი გენეტიკური განწყობის ფონზე.

სიმსივნე ჩნდება არაკონტროლირებადი მუტაციების გამო. ორგანიზმი რაღაც ეტაპზე კარგავს თავდაცვის (უჯრედების ცვლის კონტროლის) შესაძლებლობას. ამაში მას ხელს უწყობს უამრავი აგრესიული ფაქტორის მუდმივი ზემოქმედება.

ილია გოცაძე

***– არსებობს კონკრეტული რისკფაქტორი, რომელიც სიმსივნეს იწვევს?***

– არის რამდენიმე რეალური რისკფაქტორი, რომლებიც იწვევს ამ დაავადებას. უპირველესი ფაქტორია მწეველობა. თამბაქო იწვევს არა მარტო ფილტვის კიბოს, არამედ ბევრი სხვა ლოკალიზაციის სიმსივნეს – პირის ღრუს, ხორხის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, შარდის ბუშტის და სხვ. შეიძლება, ყველა მწეველს კიბო არ დაემართოს, მაგრამ ფაქტია, რომ 10 ონკოლოგიური პაციენტიდან, რომლებიც ჩემთან მოდიან, 8 მწეველია (ან იყო მწეველი).

არსებობს კიდევ სხვა, ასევე ადამიანის ნებაზე დამოკიდებული ფაქტორები, რომლებსაც დიდი როლი მიუძღვით ონკოლოგიური პროცესის განვითარებაში: ნარკომანია და ვირუსული ჰეპატიტები – ღვიძლის კიბოს s განპირობებულია წინამორბედი ვირუსული ინფექციებით; სიმსუქნე, კვების თავისებურებები (ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, სწრაფი კვების, გენმოდიფიცირებული პროდუქტები და სხვა) ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკულ ანთებით პროცესებს, რომელთა ფონზეც უფრო დიდი რისკია, რომ განვითარდეს ავთვისებიანი სიმსივნე.

ადამიანის პაპილომა ვირუსი პასუხისმგებელია საშვილოსნოს ყელისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების კიბოზე. ეს ვირუსი გადაეცემა სქესობრივი გზით.

გარუჯვა და სოლარიუმები არ არის სასარგებლო. ეს ფაქტორი იწვევს კანის კიბოს განვითარებას.

არის კიდევ ისეთი ფაქტორები, რომლებზეც ადამიანს უშუალოდ ხელი არ მიუწვდება. მაგალითად, ძალიან ცუდი ეკოლოგიური გარემო – დაბინძურებული ჰაერი, გამონაბოლქვი, უხარისხო სასმელი წყალი და ა.შ.

***– გენეტიკა?***

– რა თქმა უნდა. ესეც ერთ-ერთი რისკფაქტორია. სამწუხაროდ, კიბოსადმი გენეტიკური განწყობა შეიძლება გადაეცეს მემკვიდრეულად.

***– სიმსივნისგან თავდაცვის მექანიზმები არსებობს?***

– ჩვენ თვითონ უნდა შევუწყოთ ჩვენს ორგანიზმს ხელი ცხოვრების ჯანსაღი წესით. ამის გარდა, არსებობს დაავადების პროფილაქტიკისა და ადრეული გამოვლენის მეთოდები შესაბამის რისკჯგუფებში: მამოგრაფია და პაპტესტი ქალებში, PSA პროსტატის კიბოს ადრეული გამოვლენისთვის, ტესტი ფარულ სისხლდენაზე კოლორექტული სიმსივნეების დროს. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი დიდი პასუხისმგებლობით მიუდგეს საკუთარი ჯანმრთელობის საკითხს და დაავადების პირველივე ნიშნების შემთხვევაში მიმართოს ექიმს!

***– გვიან მიმართავენ ექიმს, ბატონო ილია?***

– სამწუხაროდ კი. დაავადების პირველ სტადიაზე ექიმს მიმართავს მხოლოდ 5%, მეორე სტადიაზე – 10-15%. 70-%-მდე მოდის მესამე და მეოთხე სტადიაზე, როცა რეალურად დაავადებას უკვე ვერ ვმართავთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია.

***– აქვს თუ არა სიმსივნეს რაიმე განსაკუთრებული სიმპტომი? როდის უნდა მივიდეს პაციენტი ექიმთან?***

– თუ ონკოლოგიური დაავადება სიმპტომს იძლევა, ეს უკვე არ არის პროცესის საწყისი სტადია. პაციენტების უმეტესობას ერთი და იგივე ჩივილი, შესაძლოა, კვირები და თვეები აწუხებდეს, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ ექიმს. ზუსტად ეს ქმნის იმ ცუდ სტატისტიკას, რომელზეც ადრე ვილაპარაკეთ.

მინდა, ვურჩიო ყველა ჩვენს მოქალაქეს, არ მიიღოს გულგრილად ნებისმიერი ახალი სიმპტომი. მაგალითად, თუ ნახველში აღმოაჩინა სისხლი ან თუ პაციენტი აღნიშნავს უცებ მზარდ ხალს, უჭირს კუჭში გასვლა და აქვს შებერილობა, თუ ვერ ყლაპავს ნორმალურად საჭმელს, აქვს მუდმივი გულძმარვა და ტკივილები კუჭის არეში. სიმსივნური პროცესი, როგორც წესი, წარმოიქმნება ქრონიკული დაავადების ფონზე, როცა ორგანოს უჯრედებზე მუდმივად მოქმედებს ერთი ან რამდენიმე რისკფაქტორი.

***– როგორ შეიძლება დავიყვანოთ მინიმუმამდე სიმსივნეების გაჩენის რისკი?***

– პრინციპი არის შემდეგი – რისკფაქტორთან ბრძოლა ან გამორიცხვა და მის მიერ გამოწვეული ქრონიკული დაავადების სასწრაფო მკურნალობა.

მაგალითად, ბევრ მწეველს აწუხებს ხველა. ის ისე ეჩვევა ამას, რომ არც თვლის ამას ცუდ სიმპტომად. არადა, ხველა არის ბუნებრივი დაცვა ბრონქებში მიმდინარე იმ ქრონიკული ანთებისგან, რომლის მიზეზი გახლავთ კვამლის მუდმივი მოხვედრა ფილტვში. სიმსივნის გაჩენის პროფილაქტიკას აქვს ორი პირობა: პირველი – სიგარეტის დანებება, მეორე – ქრონიკული ბრონქიტის მკურნალობა.

მსხვილი და სწორი ნაწლავის კიბო წარმოიქმნება კეთილთვისებიანი პოლიპებისაგან. მათი თავის დროზე ამოკვეთა 95%-ით შეამცირებს ამ დაავადების რისკს.

ნებისმიერი ქრონიკული დაავადება – ქრონიკული პროსტატიტი, ქრონიკული კოლიტი, ქრონიკული ბრონქიტი და ასე შემდეგ – არის საშიში ფონი, რომელზეც, შესაძლოა, სიმსივნე გაიზარდოს. ამიტომ ამ დაავადებებს დროულად უნდა მივხედოთ. ონკოლოგიური დაავადების პრევენცია უფრო მარტივია, ვიდრე მისი მკურნალობა.

***– მომხრე ხართ, რომ პაციენტმა იცოდეს თავისი დაავადების შესახებ თუ სჯობს, სიმართლე დაუმალოთ?***

– მე არ მაქვს უფლება, პაციენტს რამე დავუმალო, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველას ინდივიდუალურად უნდა მივუდგე. ხშირად საჭიროა, ადამიანი ჯერ მოამზადო და მერე გააგებინო. რეალურად ონკოლოგიური პაციენტი დროთა განმავლობაში მაინც ყველაფერს ხვდება.

***– შესაძლოა თუ არა, ჩვენმა მოქალაქემ მიიღოს სრულყოფილი თანამედროვე მკურნალობა საქართველოში?***

– არ ვთვლი, რომ უცხოეთი გაცილებით განსხვავდება საქართველოსგან შესაძლებლობებით ონკოლოგიური პაციენტების მართვაში, თუმცა, რა თქმა უნდა, რაღაც სერვისები ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში არ არის კარგად განვითარებული. ძირითადად საქმე ეხება იშვიათ დაავადებებსა და ძალიან ძვირადღირებულ სერვისებს. მაგალითად, ქვეყანაში არ კეთდება ძვლის ტვინის გადანერგვა.

რაც ეხება გავრცელებულ პათოლოგიებს (ძუძუს კიბო, პროსტატის კიბო, ფილტვის კიბო, ნაწლავის კიბო, კუჭის კიბო, გინეკოლოგიური ონკოპათოლოგიები და ბევრი სხვა პათოლოგია), საქართველოში ნამდვილად არსებობენ სპეციალისტები და შესაბამისი ტექნოლოგიები, რომ პაციენტმა მაქსიმალური დახმარება მიიღოს.

## სუდოკუ



| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | | | |
| 2 | | | 3 | | | 4 | | | | |
| 5 | | | | | | | | | | |
| | | | 6 | | | 7 | | | | |
| 8 | | | 9 | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | 10 | | 11 | | | | | | | 12 |
| | | | | 13 | | | | | | 14 |
| | | | | | | | 15 | | | |
| 16 | | 17 | | | | 18 | | | | |
| | | | | | | | | | | 19 |
| | | 20 | | | | 21 | | | 22 | 23 |
| | | | | 24 | | | | | | |
| | | | | | | | | | 25 | 26 | 27 |
| | | | | | | | | 28 | | 29 |
| 30 | | | 31 | 32 | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| 33 | | | 34 | | | | | | | 35 |



1. „... ველის სერენადა“; 2. ქალბატონი (ფრანგულად); 3. ფინიკიელთა მთავარი ქალღმერთი; 4. იგივეა, რაც ორატორი; 5. ცხენის კუდის ბეწვი; 6. ... პაჩინო; 7. ყვავილის ძირითადი ნაწილი; 8. კავკასიის მთიელთა სოფელი; 9. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 10. სიმებიანი საკრავი; 11. ე.წ. „მცირე ფორმების“ ხელოვნება; 12. პოეზია; 13. მამითადი; 14. კუზიანი შინაური ხარი; 15. მტაცებელი ცხოველი; 16. წილი ბიზნესში; 17. მაღალი მარადმწვანე წიწვოვანი მცენარე; 18. თვალთმაქცი, ეშმაკი; 19. დიდი სიცხე, პაპანაქება; 20. ბრაზილიელი ზანგების ცეკვა; 21. ბატონის ქვეშევრდომი გლეხი (ძვ.); 22. ბერძნული ანბანის ასო; 23. სადარო ნისლი (საბა); 24. ... კორო; 25. საყაიმო მდგომარეობა ჭადრაკში; 26. გუთნისდედისა და მეხრეების სიმღერა (ძვ.); 27. პერსონაჟი შექსპირის ტრაგედიისა „ოტელო“; 28. გიორგი სააკაძის მსხვერპლად შეწირული ვაჟი; 29. „ფორსაიტების ...“; 30. ყვავილი; 31. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი; 32. თითების განლაგების აღნიშვნა ნოტებზე; 33. სამხედრო ოპერაციების ჩატარებაში დახელოვნებული სარდალი; 34. ხელოვნების დარგი; 35. ... რიჩი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ეოქო; 2. ვეკუა; 3. ხაიამი; 5. რუპია; 6. დილიჟანი; 8. ტროპოსფერო; 10. ინვაზია; 12. „აირზენა“; 14. უოლესი; 15. სატივე; 16. ფლეში.

**თარაზულად:** 1. ჟენევა; 4. ორმუზდი; 7. ჰაკერი; 9. მაჭარი; 11. ბოცმანი; 12. ავტობანი; 13. ბაწარა; 17. გლორია; 18. „პელე“; 19. ინტელექტი; 20. „კოხინორი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნოთაობა; 2. „ცოლიკაური“; 3. ერისთავი; 4. გულჩორა; 5. ჰაფეზი; 9. სტილბი; 11. ჰარლემი; 12. სიროკო; 14. ზაგრები; 18. ამატი; 19. მესხი.

**თარაზულად:** 4. გურონი; 5. ჰეროდოტე; 6. ფრუმი; 7. ალაზანი; 8. პიექსი; 10. „ასაჰი“; 13. ბაზაზი; 15. აპნისი; 16. ვალი; 17. „იავა“; 20. რეკეტი; 21. როკაპი; 22. „მიტარბი“; 23. ხახული.

## ასტროპროგნოზი
### 16 იანვრისათვის

**ვერძი** – დღეს ძალიან გაუმართლებთ ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანებს. პრობლემების მოგვარებასა და ჩანაფიქრის რეალიზებაში ხელი არ შეგეშლებათ. **კურო** – არასტაბილური დღეა. მიზნის მიღწევას საკმაო შრომა დასჭირდება. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. საოჯახო საქმეების მოგვარებაც დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. **კირჩხიბი** – ვარსკვლავები გირჩევენ, ეს დღე შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნათ. გუნება-განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. **ლომი** – მამაკაცებისთვის იღბლიანი პერიოდია. განსაკუთრებით იოლად მოახერხებთ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას. **ქალწული** – გელით ახალი საინტერესო ნაცნობობა. მეგობრული და საქმიანი კონტაქტები გაამართლებს. **სასწორი** – სახიფათო დღეა. ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. **ღრიანკალი** – მშვიდი და სიხარულით აღსავსე პერიოდია. თავს ლაღად და თავისუფლად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმიანობა წარმატებული იქნება და კმაყოფილებას მოგგვრით. გელით ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან. **თხის რქა** – დიდი ხნის გადაუჭრელ პრობლემას, სავარაუდოდ, დღეს მოაგვარებთ. კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. **მერწყული** – პიროვნული მომხიბვლელობა თქვენს წარმატებას ხელს შეუწყობს. საკუთარ უნარებს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. **თევზები** – აგრესიული, პროვოკაციული და მაცდური დღეა. თავს ნურაფრით გაინებივრებთ.

**გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჯანდიდოსპორი

### წონაში დაკლების შემდეგ დანიელი გოგონა მოდელი გახდა

დანიის ქალაქ ორჰუსის მცხოვრები გოგონა, რომელმაც თავისი წონის ნახევარი მოიშორა, სამოდელო ბიზნესში დასაქმდა.

მატილდა ბრობერგი 120 კილოგრამს იწონიდა. გოგონა რეგულარულად იღებდა კალორიულ საკვებს და დიდი რაოდენობით ტკბილეულს. მან გახდომა მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც ადამიანებთან ურთიერთობაში თავს უხერხულად გრძნობდა, რცხვენოდა მეგობრებისა და უცნობების წრეში გამოჩენის. ბრობერგი ჯანსაღ კვებაზე გადავიდა, რომლის ფარგლებში საკუთარ თავს დღეში 3,5 ათასი კალორიის მიღების უფლებას აძლევდა და სავარჯიშო დარბაზში დადიოდა. ოთხ წლის განმავლობაში გოგონამ 63 კილოგრამის დაკლება მოახერხა.

ახლა უკვე 21 წლის ბრობერგი ფიტნესმწვრთნელად მუშაობს, ასევე მონაწილეობს სარეკლამო, მოდისა და სპორტული ჟურნალებისთვის გამართულ ფოტოსესიებში.

– სამი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ფიტნესმწვრთნელი და მანეკენი გახდებიო, ალბათ, სიცილად არ მეყოფოდა, – განაცხადა მან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ბოის თუ მენი საქართველოში ჩამოვიდა

ლეგენდარული ჯგუფი ბოის თუ მენი საქართველოში ჩამოვიდა და თბილისის საკონცერტო დარბაზში კონცერტები დაგეგმა.

ჯგუფის სიმღერები წლების განმავლობაში ლიდერობდა მსოფლიოს მუსიკალურ ჩარტებს და დღესაც არ კარგავს აქტუალურობას.

კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 100 ლარიდან იწყება.

ჯგუფი, რომელმაც მსოფლიოს მასშტაბით 60 მილიონი ალბომი გაყიდა და გულშემატკივრებს ჰიტების მდიდარი არჩევანი შესთავაზა, თბილისში პირველად ჩამოვიდა.

# მარინა ჯანაშიას ურთულესი ოპერაციები ჩაუტარდა

რუსთაველის თეატრის მსახიობ მარინა ჯანაშიას ურთულესი ოპერაციები ჩაუტარდა. ინფორმაცია სოციალურ ქსელში მის გვერდზე გავრცელდა.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მსახიობს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები შეექმნა და მას საქართველოს დატოვებაც მოუხდა:

– ქალბატონი მარი ჯანაშია ურთულესი ოპერაციებისა და მკურნალობის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. დიდი მადლობა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდა, მისთვის სიცოცხლე შეგვენარჩუნებინა, – აღნიშნულია განცხადებაში.

# „ბასიანი“ რუსეთში მიიწვიეს

საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“ რუსეთში მიიწვიეს.

21 იანვარს ქართველი მომღერლები კონცერტს სანკტ-პეტერბურგის დარბაზ „აკტიაბრსკოეში“ გამართავს.

ანსამბლ „ბასიანის“ კონცერტი ყოველწლიურ ფესტივალ „კრეშჩენსკიე ვეჩერას“ ფარგლებში იმართება.

„ბასიანი“ მსმენელის წინაშე მრავალფეროვანი და განახლებული პროგრამით წარდგება.

# თბილისში ნატო ვაჩნაძის ძეგლი გაიხსნა

თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის წინ, ლეგენდარული ქართველი მსახიობის, ნატო ვაჩნაძის ძეგლი გაიხსნა.

ქანდაკება საზეიმოდ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, თავის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილთან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ მიხეილ გიორგაძესთან ერთად გახსნა.

ღონისძიებას ნატო ვაჩნაძის შთამომავლები ელდარ და ნიკუშა შენგელაიები და ქართული კინოსა და თეატრის გამოჩენილი რეჟისორები და მსახიობები ესწრებოდნენ.

ყველა დროის ულამაზეს ქართველ მსახიობ ქალად აღიარებული ნატო ვაჩნაძის 2.20 მეტრი სიმაღლის მონუმენტის ავტორი ლევან ვარდოსანიძეა. მის შესაქმნელად თბილისის მერიამ კონკურსი გამოაცხადა, რომელშიც 5 ნამუშევარს შორის საუკეთესო შეირჩა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კალეიდოსკოპი

### ამერიკელები იოგაში თხებით ვარჯიშობენ

ამერიკის ორეგონის შტატში მცხოვრები მოხერხებული ფერმერი იოგას მოყვარულებისთვის გაკვეთილებს თხებით ატარებს. უჩვეულო ვარჯიშმა ასეულობით ამერიკელის ყურადღება მიიპყრო.

იოგა თხებით ჩვეულებრივისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ადამიანებს შორის დაკუნტრუშებენ კეთილგანწყობილი ცხოველები. ზოგჯერ ციკნები მოვარჯიშეებს ახტებიან.

ფერმის დიასახლისმა ლეინი მორზმა 2016 წელს გადაწყვიტა, იოგა და მეთხევეობა გაეერთიანებინა. აგვისტოში ინტერნეტში გავრცელებულმა ვიდეომ სწრაფად მოიხვეჭა პოპულარობა. ამის შემდეგ ფერმა ვეღარ აუდიოდა მსურველების მოდინებას. ვარჯიშებზე ჩაწერილი 900-ზე მეტი ადამიანი ჯერ ისევ ელოდება საკუთარი რიგის დადგომას.

აღსანიშნავია, რომ მორზმა, რომელიც ასეთ წარმატებას ნამდვილად არ ელოდა, დატოვა კომპანია, რომელშიც 10 წელი მუშაობდა და მთლიანად თხის იოგაზე გადაერთო, ხოლო ორეგონის შტატის უნივერსიტეტი ქალს გასვლითი ვარჯიშების ჩატარებაზე შეუთანხმდა, ღვინის მწარმოებელი ადგილობრივი საწარმო კი გაზაფხულზე წვეულების გამართვას აპირებს, რომელზეც თხის იოგურტისა და ღვინის დეგუსტაცია გაიმართება.

### დიდმა კუმ ხანძარი გამოიწვია

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოში დიდმა კუმ თავისი პატრონის მეზობლის სახლში ხანძარი გააჩინა.

შინაური 70-კილოგრამიანი კუსთვის განკუთვნილი მომცრო ვოლიერი ორ სახლს შორის მდებარე ეზოში იდგა. ხანძარი მას შემდეგ დაიწყო, როდესაც რეპტილიამ ვოლიერში დადგმული გამათბობელი ლეიბზე გადმოაგდო. ამის შედეგად ლეიბს ცეცხლი წაეკიდა და მალე ის მეზობლად მდებარე ნაგებობებზე გადავიდა.

ცეცხლმოკიდებულ სახლში ოთხი ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის ორი ბავშვი. ყველამ მოახერხა ხანძრიდან თავის დაღწევა, მაგრამ თავად სახლი ძალიან დაზიანდა. ხანძრისგან მიყენებული ზარალი 150 ათას დოლარადაა შეფასებული. კუს პატრონის სახლი მინიმალურად დაზიანდა, ხოლო თავად ცხოველმა თათზე მცირე დამწვრობა მიიღო.

კუს პატრონმა მომხდარს საშინელი შემთხვევა უწოდა. მისი თქმით, კუ მასთან 15 წელია ცხოვრობს და მის თვალწინ გაიზარდა.

### გერმანიაში თოვლის კაცის გამო მატარებელი დაზიანდა

გერმანიაში მატარებლის მემანქანე იძულებული გახდა, მიემართა ექსტრემალური დამუხრუჭებისთვის, რისი მიზეზიც რკინიგზაზე აღმართული თოვლის კაცი გახდა.

ინციდენტი მიკლენბურგ-წინა პომერანიის მიწაზე საღამოს საათებში მოხდა. მატარებლის გზაზე აღმართული თოვლის კაცის სიმაღლე დაახლოებით 1,5 მეტრს აღწევდა, რის გამოც მემანქანეს არ შეეძლო გამოერიცხა, რომ გზაზე ადამიანი იმყოფებოდა და ამიტომ მატარებელი მკვეთრად დაამუხრუჭა.

მატარებლის შემადგენლობის სამუხრუჭე სისტემას 5 ათასი ევროს ღირებულების ზიანი მიადგა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

ადგილობრივი პოლიცია სამ ეჭვმიტანილს ეძებს. მათი ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

### კიმ კარდაშიანმა საოჯახო არქივიდან ფოტო გამოაქვეყნა

ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომლებზეც გადაღებულია თავის მეუღლე კანიე უესტთან და თავიანთ ორ შვილთან ერთად. ფოტოსურათები მან სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

კარდაშიანმა საკუთარი ოჯახის ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათების გამოქვეყნება ერთი კვირის წინ დაიწყო. ცნობილია, რომ სურათები ფოტოგრაფ ელი რასელ ლინეტსის გადაღებულია. ასევე მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც კარდაშიანების ოჯახის სხვა წევრებიც არიან აღბეჭდილნი.

გამოქვეყნებული ფოტოსურათებიდან ზოგიერთმა მილიონზე მეტი მოწონება მიიღო.

### სელენა გომესის შიშველი ფოტოსურათი გამოჩნდა

ამერიკელ მსახიობსა და მომღერალ სელენა გომესს ფოტოსურათი დედიშობილას გადაუღეს. ეს კადრი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოგრაფმა მერტ ალასმა.

„ლამაზმანი და ურჩხული“ – ასეთი კომენტარი გაუკეთა ფოტოს ალასმა. გომესის სურათმა 58 ათასზე მეტი მოწონება მიიღო. სულ კი ფოტოგრაფის გვერდს 842 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. თავად მსახიობსა და მომღერალს ეროტიკული ფოტოსურათი არ გამოუქვეყნებია.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის დეკემბერში ცნობილი გახდა, გომესი ყველაზე პოპულარული ცნობილი ადამიანია ინსტაგრამში. სოციალურ ქსელში მის გვერდს, გასული წლის 1 დეკემბრის მონაცემებით, 103 მილიონი ხელმომწერი ჰყავდა, მას შემდეგ კი მათმა რიცხვმა 106 მილიონს მიაღწია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## დღის კალენდარი

### 16 იანვარი

**წლის მე-16 დღე, ახალ წლამდე დარჩა 349 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

ხსენება წმიდა ექვთიმე ღვთისკაცისა (თაყაიშვილი 1863-1953), იოანესი, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსისა (XI), ღირსთა ევაგრესი და ელია დიაკონისა (VI), ღირსისა პეტრე ნიშანშემოსილისა, ატროას მონასტერში მოღვაწისა (IX); ღირსი ამბა მელიტონ მამასახლისისა, საბაწმინდელისა (537); ღირსისა თომაიდასი, ლესბოსის მკვიდრისა (IX); წმიდა მოწამისა გორდისა (IV), წმიდა წინასწარმეტყველისა მალაქიასი (400წ. ქრისტეს შობამდე). ღირსისა ჟენევიევა პარიზელისა (დაახლ. 500)

წმიდა წინასწარმეტყველი მალაქია ცხოვრობდა 400 წლით ადრე ქრისტეს შობამდე, ბაბილონის ტყვეობიდან იუდეველთა დაბრუნების დროს. მალაქია უკანასკნელი იყო ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთაგან, ამიტომაც წმიდა მამები მას „წინასწარმეტყველთა ბეჭედს“ უწოდებენ.

წმიდა მალაქია სულიერი სიქველისა და კეთილმსახურების განსახიერება იყო, რითაც გაოცებაში მოჰყავდა ადამიანები და რის გამოც იწოდა კიდეც მალაქიად, ანუ ანგელოზად. თავისი წინასწარმეტყველების წიგნში, რომელიც საღმრთო წერილის (ძველი აღთქმის) კანონიკურ წიგნთა რიცხვში შედის, იგი ამხილებდა იუდეველთა უკეთურებას და წინასწარმეტყველებდა იესო ქრისტესა და მისი წინამორბედის მოსვლას, აგრეთვე განკითხვის დღეს.

წმიდა მოწამე გორდი დაიბადა III საუკუნის დასაწყისში, კაპადოკიის ქალაქ კესარიაში ღვთისმოშიშ ქრისტიანთა ოჯახში. სრულასაკოვნებას მიღწეული, იგი სამხედრო სამსახურში შედგა, სადაც დიდი სიმამაცე და საომარი ხელოვნება გამოამჟღავნა, რის გამოც ასისთავადაც დაინიშნა. ქრისტიანთა დევნის დროს, IV საუკუნის დასაწყისში, მან მიატოვა საერო ცხოვრება და უდაბნოში წავიდა, რათა ქველის ღვაწლით განემზადებინა თავი ქრისტეს მაცხოვრის სახელის აღიარებისათვის. 320 წელს წმიდა გორდი განცხადებულად გამოვიდა ქალაქის პრეფექტის წინაშე ქრისტიანთა დასაცავად, რისთვისაც იგი შეიპყრეს და სასტიკი ტანჯვა-წამების შემდეგ თავი მოჰკვეთეს.

**დაიბადნენ:**

1836 – მამია გურიელი, პოეტი. გარდაიცვალა 1891 წელს.

1838 – ფრანც ბრენტანო, გერმანელი ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1917 წელს.

1847 – კალმან მიკსატი, უნგრელი მწერალი. გარდაიცვალა 1910 წელს.

1858 – ნიკოლო (ჯაკომო) პუჩინი, იტალიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1924 წელს.

1881 – ალექსანდრე წუწუნავა, კინორეჟისორი. პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ რეჟისორი. გარდაიცვალა 1955 წელს.

1913 – ბათუ კრავეიშვილი, მომღერალი. გარდაიცვალა 1970 წელს.

1932 – ოთარ მეღვინეთუხუცესი, კინოსა და თეატრის მსახიობი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2013 წელს.

1956 – დევიდ კოპერფილდი, ამერიკელი ილუზიონისტი.

1956 – გელა ყიფიანი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

**გახდაიცვალნენ:**

1464 – დეზიდერიო და სეტინიანო, იტალიელი მოქანდაკე, ადრინდელი აღორძინების ფლორენციის სკოლის წარმომადგენელი.

1806 – ნიკოლა ლებლანი, ფრანგი ქიმიკოსი. 1787-1789 წლებში მან პირველმა შეიმუშავა სუფრის მარილისგან სოდის მიღების სამრეწველო მეთოდი.

1891 – კლემან ფილიბერ ლეო დელიბი, ფრანგი კომპოზიტორი.

1929 – არტურო ტოსკანინი, იტალიელი დირიჟორი, 1898-1929 წლებში თეატრ „ლა სკალას“ ხელმძღვანელი.

**მოვლენები:**

1820 – ბელინსჰაუზენმა და ლაზარევმა ანტარქტიდის ნაპირებს მიაღწიეს და პლანეტის ბოლო კონტინენტი აღმოაჩინეს.

1902 – ანტარქტიკული ექსპედიციის წევრებმა – შეკლტონმა, დოუსონმა და დეივიდმა სამხრეთ მაგნიტურ პოლუსს მიაღწიეს.

1920 – პარიზში ერთა ლიგის სათათბიროს პირველი სხდომა ჩატარდა.

1979 – ირანში მოხდა „ისლამური რევოლუცია“, ტახტიდან ჩამოაგდეს შაჰი მუჰამედ რეზა ფეხლევი.

1982 – დიდმა ბრიტანეთმა და ვატიკანმა განაახლეს 400 წლის წინათ შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა.

1991 – დაიწყო „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაცია, რომელშიც 30-ზე მეტი სახელმწიფოს გაერთიანებული ჯარები მონაწილეობდნენ და მიზნად ისახავდა კუვეიტიდან ერაყის ჯარების განდევნას.

**მედიანიუსი**

## პროგრამა

### ოთხშაბათი 16 იანვარი

**07.00** დოკ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები **30** წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ჭურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.00**"x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" **1** სერ. **00.00** მხ/ფ "**პარასკევის ღამის ნათება**" **03.00** "რეალური სივრცე"

**08.00** დ/ფ "მუსორგსკი - სურათები გამოფენიდან" **09.00** დ/ფ "ბერები ლაბორტორიაში" **10.00** მხ/ფ "**ელოიზი და ომების დღესასწაული**" **10.00** დ/ფ "დიზაინი" - ველოსიპედი **12.00** ტ/სერ. "**ეპას სამი პარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენგო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სამყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პაბარაკალი**" **11.20** სერ. "**გონელი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**შუა ფარდი**" **22.30** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 6**" **00.30** მხ/ფ "**დრაკონის თვალები**" **02.30** მხ/ფ "**მხოლოდ შეყვარებულები გადარჩებიან**" **04.45** მხ/ფ "**ილუზიონისტი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული პაპუა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოჟრეს გალია**" **22.00** ნიჭიერი - პირდაპირი **00.00** სერ. "**დრეში დაკარგული**" მხ/ფ მხ/ფ კურიერის დაიჯესტი მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი პაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სპანდალი**" **11.00** სერ. "**ჟერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** მხ/ფ ""**თინეიჯერის სული**" **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ აპიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ ""**განგსტერებზე მონადირეები**" **02.05** მხ/ფ ""**ჯოი ქიუ**" **03.50** მხ/ფ ""**ჩრდილოეთის ქვეყანა**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-"ტყუილებზე დაფიცების შესახებ" **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგაძღური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.30** მხ/ფ "**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "თოჯინებინანა ბედიაშვილი" **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.50** კონცერტი **16.55** სპექტაკლი "**მბრედის მოგზაანილი ბარათები**" IV ნაწ. **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მესამე ნეტარება **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-"ხატმწერის შესახებ" **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** ქრისტიანული სწავლება **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვეშანი დარჩებიან **01.00** სათავეებთან "აშულური პოეზია" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ფესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **9.00** სერ. "**ალბატონი**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმედარია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 15.30, 3.00** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ბისანი თუ შელეგ**" **21.55** სერ. "**პაპემანი**" **22.40** სერ. "**უცხო**" **1.30** "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**16 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.7211 | ევრო — 2.8961 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3233 | 100 რუსული რუბლი — 4.5745 |

## ამინდის პროგნოზი 16 იანვრისთვის




## 10 იანვრიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

**ვიქტორ ჰიუგო**

# პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 17 იანვრიდან

**რევაზ მიშველაძე**

# ციყვი ბორბალში

**რევაზ მიშველაძის ამ ახალ რომანში აღწერილია სააკაშვილის ათწლეულის საქართველოს ცხოვრება და ნაწარმოების ცენტრშიც, ბუნებრივია, თვით მიხეილ სააკაშვილი დგას. ნაჩვენებია, თუ როგორ კამათლებივით აგორავებდა თავგასული ხელისუფალი უბრალო მოქალაქის ბედს.**

**რომანი წარდგენილია ნობელის პრემიაზე.**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## იუმორი

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, როდის გავიზრდები ისე, რომ მოვიქცე ისე, როგორც თავად მომესურვება?

– არ ვიცი, შვილო, ჯერ მასეთ ასაკამდე არცერთ მამაკაცს არ მიუღწევია!

●●●

ქალმა ტაქსი გააჩერა და ხანდაზმულ მძღოლს ადგილზე მიყვანა სთხოვა. ადგილზე მისვლის შემდეგ მძღოლს ეუბნება:

– იცით, ფული არ მაქვს და იქნებ ნატურით გადაგიხადოთ?

– იცი რა, მე უკვე ასაკში ვარ და მაგას ვეღარ შევძლებ. მოდი, შენს შესაფერის მამაკაცს მოგიყვან და შემდეგ ის გადამიხდის ფულს.

ქალი დაეთანხმა. მძღოლმა მამაკაცი მოიყვანა. ის მანქანაში შეძვრა და საქმეს შეუდგა. ამ დროს პოლიციელი მიუახლოვდა მანქანას, ფარანი შეანათა და მამაკაცს ეკითხება:

– აქ რით ხართ დაკავებული?

– ცოლთან... ნუ, თავადაც ხვდებით...

– მე კი მეგონა, მეძავთან აკეთებდით.

– სანამ ფარანს მოანათებდით, მეც მასე მეგონა...

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მინდა, შენს ახლო ნათესავებზე დაგელაპარაკო.

– მართლა? რაზე?

– შენი დედა... ჩემს ვალს, 200 ლარს, როდის დამიბრუნებ?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.**




## 12 იანვრიდან

# კულინარია ჰობად

**ამ წიგნში მოცემულია როგორც კარგად ცნობილი, ასევე უცნობი რეცეპტები, რომელთა მომზადებასაც სახლის პირობებში თითოეული თქვენგანი ძალიან მარტივად შეძლებს.**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

# თორნიკე ოქრიაშვილი: „საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელობა მოტივაციას მმატებს“

ჩვენი ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრებისა და კრასნოდარის ნახევარმცველი თორნიკე ოქრიაშვილი გუნდთან ერთად შეკრებაზე აბუ-დაბიში იმყოფება. ქართველი ფეხბურთელის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– გილოცავ საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებას. რამდენად მოულოდნელი იყო ეს აღიარება?***

– გმადლობთ. როდესაც დაჯილდოების ცერემონიაზე მივდიოდი, ვფიქრობდი, ჯილდო იქნებ საუკეთესო გოლისთვის ამეღო. ვიცოდი, რომ საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში წარდგენილი ვიყავი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, გამარჯვებას არ ველოდი. საკმაოდ ძლიერი კონკურენტები მყავდნენ – ჯანო ანანიძე და გურამ კაშია. ტიტულს თითოეული მათგანი იმსახურებდა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მე დამასახელეს. ეს ჩემთვის ძალიან დიდი და სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

***– რა იგრძენი იმ მომენტში, როდესაც შენი გვარი გამოაცხადეს?***

– ძნელი გადმოსაცემია. ემოციებმა ამიტანა და გარკვეული ხანი ვერც ვიჯერებდი!

***– ტელეტრანსლაციისას გამოჩნდა, რომ სანამ პოდიუმზე ახვიდოდი, წინა რიგში მყოფმა რამდენიმე ადამიანმა შენთვის მოლოცვა მოასწრო. ვინ იყვნენ ისინი?***

– ქართული სპორტისა და ფეხბურთის პირველი პირები. ქვეყნის სპორტის მინისტრი, სფფ-ის პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი.

***– პოდიუმზე რა თქვი?***

– ყველას დამდეგი ახალი წელი მივულოცე, ასევე მივულოცე წარმატება სხვა ნომინაციებში გამარჯვებულ ფეხბურთელებს, მადლობა გადავუხადე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ჩემს მშობლებსა და ოჯახს.

***– ოსკარის ლაურეატის ტიპური გამოსვლა?***


გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ახალზელანდიელმა პატარა გოგონასთან ერთად ზღვაში ერთი თვე გაატარა

ახალზელანდიელი და მისი ექვსი წლის გოგონა 27 დღე ტასმანიის ზღვაში იმყოფებოდნენ გაფუჭებულ კატამარანზე, ყოველგვარი კავშირგაბმულობის გარეშე. ამ დროში მათ 2000 კილომეტრი გაიარეს და ავსტრალიის ქალაქ ულადულში აღმოჩნდნენ.

46 წლის ალან ლენგდონი თავის გოგონა ქიუსთან ერთად პატარა მოგზაურობას გეგმავდა ახალი ზელანდიის ყურე ბეი-ოფ-აილენდსში, მაგრამ მგზავრობის მეოთხე დღეს ქარიშხალმა კატამარანის ორიდან ერთ-ერთი საჭე მწყობრიდან გამოიყვანა. 6,4 მეტრი სიგრძის გემზე არ იყო არც რადიოგადამცემი, არც თანამგზავრული ტელეფონი, ამიტომ ალანმა შემთხვევის თაობაზე ვერავის აცნობა, ხოლო უამინდობა ხელს უშლიდა დაზიანების აღმოფხვრაში.

მამაკაცის თქმით, კატამარანზე ჰქონდა პორტატიული ჯპს მიმღები, რომელიც გემის გეოგრაფიულ კოორდინატებს უჩვენებდა, თუმცა რუკის გარეშე ის ვერ ახერხებდა გაერკვია, თუ სად იმყოფებოდნენ და საით უნდა ეცურათ.

ლინგდონი გაკვირვებული დარჩა იმით, რომ მედიაში მათი გაუჩინარების შესახებ დაიწერა. მან აღნიშნა, რომ, მართალია, ეს მოგზაურობა იმაზე არაკომფორტული გამოვიდა, ვიდრე თავად ვარაუდობდა, მაგრამ მისი და მისი გოგონას სიცოცხლეს არაფერი ემუქრებოდა. ალანმა ისიც აღნიშნა, რომ ის და მისი გოგონა უფრო ხანგრძლივ მოგზაურობაშიც ყოფილან, ხოლო კატამარანზე რამდენიმე თვისთვის საკმარისი საკვების მარაგი იყო.

მან ასევე უარყო ბრალდება იმის თაობაზე, თითქოს ახალი ზელანდიიდან იმისთვის გაცურა, რომ ბავშვი თავისი ყოფილი მეუღლისთვის დაემალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახელოვან ქართველსა და ღირსეულ მამას**

# ჯემალ ტურაშვილს

**ვულოცავთ დაბადების 75 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ღვთის წყალობას.**

**შვილები – ნინო, ხათუნა და მარიკა**

## ჯოსვოიდი

**თარაზულად:** 6. ამერიკული მუსიკალური ჟანრი; 7. სიძნელეებთან მარჯვედ შეგუება; 8. საჭადრაკო ამოცანა; 10. ბედ-იღბალი; 11. თანხმობა, ერთსულოვნება; 13. სატელევიზიო გადამცემი მილაკი; 16. დასამტკიცებელი დებულება ლოგიკაში; 19. შურისძიების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 20. კბილის ექიმი (მოძვ.);

**შვეულად:** 1. სახუმარო ოპერა ნასესხები მუსიკით; 2. მუზეუმი მადრიდში; 3. ბანქოს გაშლა გარკვეული წესით; 4. პირველობა, უპირატესი მდგომარეობა; 5. სანადირო ძაღლის ჯიში; 9. იაპონური ავტომარკა; 12. თიხაკირქვისგან შემდგარი ნალექი ქანი; 14. აუხდენელი ოცნება; 15. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 17. ნაღველი, კაეშანი; 18. ... მაკდაუელი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*